ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



## მამუკა არეშიძე: „მურად წურწუმიას საქმის გირგვლიანის საქმესთან შედარება არ შეიძლება“

გვ.2

## მურად წურწუმიას მკვლელობის საქმეზე ვახტანგ ბურძენაძეც დააკავეს

გვ.5

ხუთშაბათი, 9 იანვარი, 2020 №6 (8270) ფასი: 60 თეთრი

# რატომ მიატოვა გუბაზ სანიკიძემ ირაკლი ოქრუაშვილი?



გვ.3

## „მე ვთანამშრომლობ ყველა ოპოზიციურ პარტიასთან“

სააკაშვილს მე შევხვდი ჩემი ინიციატივით. პარტია და პარტიულობა აქ არაფერ შუაში არ იყო. ეს იყო ჩემი პირადი ვიზიტი კიევში... ამჟამად მე ვმოქმედებ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პოზიციით. მე არ წარმოვადგენ არავის, მე წარმოვადგენ მხოლოდ და მხოლოდ გუბაზ სანიკიძეს.



## „კალაძის საძმაკაცოს 21 მილიონი მისცეს გუდაურში ასაფეთქებლების დასამონტაჟებლად“



ლევან ხაბეიშვილი: „ამ ფულით გუდაურს ოთხჯერ შემოარტყამდნენ წრეს წყალმომარაგებით“

გვ.3



## ნინო ლომჯარია: „დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა შეწყვიტა“

გვ.2

„მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელია“

## სოსო ცინცაძე: „მესამე მსოფლიო ომის დაწყებას გამოვრიცხავ“

გვ.4





## ლევან ჩაჩუა: „საპატრიარქოზე ახალი შეტევა დაიწყო იმიტომ, რომ პატრიარქის რეიტინგი ვერ დაასამარეს“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 ე.გ.-მ თავის მანქანაში ბრიტანეთის მოქალაქე თ.ჯ. გააუპატიურა

6 თეირანთან კიევის ბორტი ჩამოვარდა — 180 ადამიანი დაიღუპა

2 შეწყვეტს თუ არა საქართველო ირანის ავიასივრცეში ფრენებს

6 ირანმა აშშ-ის ბაზებს ერაყში რაკეტები დაუშინა

# „მურად წურწუმიას საქმის გირგვლიანის საქმესთან შედარება არ შეიძლება“

## მამუკა არეშიძე: „ეს ნაციონალების პიარტექნოლოგიაა“

ნონა ცაბაძე

მურად წურწუმიას მკვლელობაში ბრალდებულ სპეცრაზმელს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. გუშინ საღამოს დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი მეორე პირიც ვახტანგ ბურძენაძე, რომელიც თბილისში ოჯახთან ერთად ცხოვრობს და ერთ-ერთი კომპანიის დისტრიბუტორია. შსს და პროკურატურაც ადასტურებს, რომ ბურძენაძე სპეცრაზმელი არ არის.

**საკითხის სიცხადისათვის „კვირის პალიტრას“ ესაუბრა ფოფხაძის ადვოკატი მევლუდ ჯანჯღავა:**

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აღიარებს დანაშაულს. 2 იანვარს, ბედობა დღეს, ფოფხაძე თავის მეგობართან ერთად იყო დამპალოს სასაფლაოზე. რადგან მეგობარმა სთხოვა და მას თავისი ავტომანქანით გაყვა.

უკვე შებინდებული იყო, ორი პიროვნება, საკმაოდ მთვრალები, გარდაცვლილი და მისი ძმა მის მანქანაში ისხდნენ და ცდილობდნენ მანქანის წაყვანას. ბრალდებული ამბობს, თავიდან ვცდილობდით ყოველგვარი შეხლა-შემოხლის გარეშე გადმოგვეყვანა ისინი მანქანიდან, რადგან შს სამინისტროს თანამშრომელი ვარ და ვერიდებოდი ყველანაირ კონფლიქტს, მაგრამ ამ დროს დაქოქეს მანქანაო.

მანქანამ გაიარა სადღაც 15-20 მეტრი, მიაჯახეს ბოძს და იქ გაჩერდაო. ამ დროს მივიდა იმ ადგილას ზურა და გადმოათრია ისინი მანქანიდან და მაშინ ატყდა გინება და ჩხუბი. ეს ადამიანები ცდილობდნენ სხვისი ნივთის გატაცებას. მომხდარის მიზეზი ხომ უნდა ავხსნათ, რომ არ ჩამსხდარიყვნენ, ეს ხომ არ მოხდებოდა.

ზურა ამბობს, მინდოდა, მხოლოდ მანქანიდან გადმომეყვანაო. მანქანა გამტაცეს, თან დედა მაგინეს, რომელიც 2 თვის გარდაცვლილი მყავს და ველარ მოვითმინეო. ძალიან მწარედ განიცდის მომხდარს, ამბობს, თავიც დაიღუპა და მეც



დამღუპაო. სამი მცირეწლოვანი შვილის მამაა. დიდი ხანია, ძალოვან სტრუქტურაში მუშაობს.

***– ასე სასტიკად რატომ გაუსწორდა?***

– კონფლიქტში 4 პირი იყო, აქედან 1 გარდაცვლილია, საქმეში არის გარდაცვლილის ძმის ჩვენება, რომელიც ამბობს, 2 პირი გვცემდაო, მაგრამ ეს არ არის სიმართლე, თავად ზურა ამბობს, რომ ჩხუბი იყო, ის მეორე პირი, მეგობარი, მოჩხუბრებს აშველებდა. თავად ის პირიც დაკითხულია და ისიც ამბობს, ვაშველებდიო, ზურასაც ურტყამდნენ და ამ ჩხუბში ზურაც კი წაიქცაო. როგორც ბრალდებული ამბობს, ვინც საჭესთან იჯდა, ის გაიქცა, ცემის შემდეგ ნახეს, მეორე პირი ცუდად რომ იყო და ზურამ თავის სახლში წაიყვანა.

***– სასწრაფო რატომ არ გამოიძახა მაშინვე?***

– წესით, სასწრაფოსთვის უნდა დაეძახათ, მაგრამ არ დაუძახეს, ამას განიცდის, უნდა გამომეძახაო. ღამით მიიყვანეს ზურას სახლში, სისხლი მოწმინდეს, ღია ჭრილობა არ ჰქონიაო, ტყუილია და სრული სისულელე, რომ თითქოს ქუჩაში მიაგდეს შიშველი და თვალებდათხრილი.

მეორე დღეს, 3 იანვარს დილის საათებში რომ დამძიმდა მდგომარეობა, ზურამ სასწრაფო გამოიძახა, სასწრაფომ წაიყვანა კლინიკაში და იქ გარდაიცვალა. მეორე პირი იმასაც ამბობს, პირიქით, გზაში ქურთუკიც კი მოვახურეთო. სასწრაფო რომ მან გამოიძახა, ესეც დადასტურდება. ექსპერტიზა დანიშნულია და დასკვნა ჯერ არ არის ცნობილი.

მწვავეა ოპოზიციისა და ზოგიერთი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის შეფასებები. ითხოვენ, რომ წურწუმიას მკვლელობას წამების კვალიფიკაცია მიენიჭოს.

ოპოზიციონერთა ნაწილი პარალელს ავლებს წურწუმიას მკვლელობასა და გირგვლიანის მკვლელობას შორის. ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ პიარზე გათვლილი სვლაა. გამოძიება მიმდინარეობს და წინასწარ დასკვნების გამოტანა დაუშვებელია. ექსპერტთა აზრით, გირგვლიანის მკვლელებს მთელი სისტემა იცავდა, წურწუმიას მკვლელობა კი ფაქტობრივად გახსნილია.

**2 იანვარს დამპალოს სასაფლაოზე მურად წურწუმიას მკვლელობის პოლიტიკური შეფასებების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა არეშიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, სპეცრაზმელის მიერ მოკლული ახალგაზრდის საქმეს პოლიტიკური შეფასებები მოჰყვა. ამ მკვლელობას გირგვლიანის მკვლელობის საქმეს ადარებს ოპოზიცია და ხელისუფლებას სისხლიან რეჟიმად მოიხსენიებს. თქვენი შეფასებები როგორია ამ საქმეზე?***

– მე მხოლოდ რაც ოფიციალურად ითქვა და დაიწერა, ის ინფორმაცია მაქვს, დამატებით ინფორმაციებს არ ვფლობ. ოპოზიციის მეთოდოლოგიაა ასეთი, ყველა მათ მიერ დაშვებულ შეცდომას ან დანაშაულს უნდა მიუსადაგონ ის, რაც დღეს ხდება. მათი პიარის მეთოდოლოგიაა ასეთი, რომ გაავლონ პარალელები და მათ დანაშაულებებს მიუსადაგონ ამ ხელისუფლების გადაცდომები.

მათი მიზანია, დაანახონ საზოგადოებას, რომ მათსა და ამ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის.

***– თვითონ ფაქტის შესახებ რას იტყვით?***

– ძალიან სამწუხაროა, რაც მოხდა. გირგვლიანის მკვლელობა განსაკუთრებული ცინიზმით მოხდა და, ამ სიტუაციისგან განსხვავებით, წინა ხელისუფლება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, რომ არ შეემჩნია, ეს ფაქტი რომ მოხდა საერთოდ.

***– საუბარია, რომ ამ შემთხვევაში თავად ჩაბარდა დამნაშავე სპეცრაზმელი.***

– მე არ ვიცი, თავად ჩაბარდა თუ დააკავეს, თუმცა ფაქტია, რომ დამნაშავე დაკავებულია და საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

აქ მთავარია, რამდენად სამართლიანად იქნება ეს ყველაფერი გამოძიებული.. საზოგადოებას არ უნდა დარჩეს იმის განცდა, რომ ვიღაცა მალავს დანაშაულს.

გირგვლიანის შემთხვევაში სწორედ ამასთან გვქონდა საქმე. მაქსიმალურად მალავდნენ და ხელს აფარებდნენ დამნაშავეებს, ხოლო როდესაც ისინი დააპატიმრეს, საკმაოდ სასათბურე პირობებში ჰყავდათ.

ამიტომ არანაირი პარალელის გავლება ამ ორ საქმეს შორის არ შეიძლება. ეს არის ნაციონალების პიარმეთოდოლოგია და საკმაოდ კარგად ცნობილი.

ის არაერთხელ გამოუყენებიათ.

# ნინო ლომჯარია: „დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა შეწყვიტა“

## „მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელია“

პატიმრობაში მყოფმა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა შეწყვიტა.

ამის შესახებ გუშინ, 8 იანვარს, ჟურნალისტებს სახალხო დამცველმა განუცხადა.

ნინო ლომჯარიას თქმით, მსჯავრდებული დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელია.

სახალხო დამცველი გიორგი მამალაძესთან 3 საათზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა.

– ჩვენ ძალიან დიდი ხანი ვისაუბრეთ ბევრ საკითხთან დაკავშირებით. ამ საკითხზე და დეტალებზე არ ვისაუბრებ, თუმცა, ვიტყვი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნამდვილად მაშფოთებს, იმიტომ, რომ რეალურად რაც ვნახე, მას არ აქვს პროგრესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება, ეს ინფორმაცია მაქვს მისი მკურნალი ექიმისგანაც.

ფაქტია, რომ ის მკურნალობა, რომელიც დღეს მას გაეწევა, შესაბამის შედეგს ვერ აღწევს, არ არის ადეკვატური. მისი განცხადებით, მისთვის ამ ეტაპზე მთავარი პრიორიტეტი მისი ჯანმრთელობაა და ის, რომ მიეცეს საშუალება მიიღოს ადეკვატური მკურნალობა. სხვა დანარჩენი საკითხი მისთვის პრიორიტეტული არ არის, ამიტომ ის ითხოვს დახმარებას ამ მიმართულებით, რომ როგორმე მოხდეს შესაბამისი და ადეკვატური მკურნა-





ლობის მიწოდება, რომელიც, მისი განცხადებით, არ ხდება და ვერ მოხდება პატიმრობის პირობებში, – განაცხადა ლომჯარიამ.

მისივე შეფასებით, დეკანოზის მკურნალობა პენიტენციურ დაწესებულებაში სრულყოფილად ვერ ხერხდება.

– მინახავს მისი მდგომარეობა წარსულშიც და ახლაც. პროგრესი არ არის, ეს ვიცი მკურნალი ექიმისგანაც, პირიქით, უმოძრაობისგან მას ფიზიკური მდგომარეობა გაუარესებული აქვს, ექიმი ადასტურებს, რომ არის პარალიზებული და, შესაბამისად, ამ შეხვედრის შემდეგ დამატებით ვიფიქრებთ, რა შეიძლება იყოს სახალხო დამცველის მხრიდან კონკრეტული რეკომენდაცია.

გადავადება იქნება თუ სხვა რამე, ამაზე ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმსჯელებთ. მე, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ იმას, რომ მას ნამდვილად სჭირდება სამედიცინო დახმარება და ფაქტია, რომ ის, რაც დღეს გაეწევა, პროგრესს ვერ აღწევს, – განაცხადა ლომჯარიამ.

კითხვას, ეზღუდება თუ არა დეკანოზს ზარის განხორციელების უფლება, სახალხო დამცველმა ასე უპასუხა:

– მისი თქმით, არის შემთხვევები, როცა ის დარეკვას ვერ ახერხებს, იმიტომ, რომ თითქოს იქმნება გარკვეული ტექნიკური პრობლემები, აცხადებს, რომ ხან ტექნიკურად შეუძლია ზარის განხორციელება, ხან თითქოს ტექნიკურად იბლოკება ნომერი, სადაც რეკავს. ბევრი ინფორმაცია მივიღე, რასთან დაკავშირებითაც, მე გავივლი ჩემს წარმომადგენლებთან და შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაციებს და ამის შემდეგ მექნება პოზიცია.

ლომჯარიას თქმით, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ შიმშილობა დროებით, მისივე თხოვნის საფუძველზე, შეწყვიტა.

– რა თქმა უნდა, ჩვენ მკურნალობასაც მივაქცევთ ყურადღებას და მთავარი საკითხი, მე მასაც ვუთხარი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არის ის, რომ ჩვენ ვხედავთ გამოძიებაში და სასამართლო პროცესზე ძალიან ბევრ და სერიოზულ დარღვევას. თუმცა, დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა პრიორიტეტი, დასძინა ნინო ლომჯარიამ.

# გიორგი გახარია ელიზაბეთ რუდს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბეთ რუდს შეხვდა.

მხარეებმა ისაუბრეს გასული წლის განმავლობაში აშშ-სა და საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე.

საუბარი, ასევე, შეეხო ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს.

შეხვედრას აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ლიზ ზენტოსი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი დაესწრნენ.

# შეწყვეტს თუ არა საქართველო ირანის ავიასივრცეში ფრენებს

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოსა და ირანს შორის საჰაერო მიმოსვლას ორი ავიაკომპანია ასრულებს და ამ ეტაპზე, სააგენტოში რეისების გაუქმების თაობაზე კომპანიებისგან სააგენტოში შეტყობინება არ შესულა.

რაც შეეხება ქართულ ავიაკომპანიებს, როგორც სააგენტოში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ქართული კომპანიები ირანის მიმართულებით სამგზავრო რეისებს არ ასრულებენ და, შესაბამისად, აღნიშნულზე რეკომენდაციები სააგენტოს არ გაუცია.

რაც შეეხება ირანის საჰაერო სივრცის გამოყენების შეზღუდვას, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში განმარტავენ, სააგენტო ყურადღებით ადევნებს თვალს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციების მითითებებს და შესაბამისად იმოქმედებს.

– ამ ეტაპზე საქართველოსა და ირანს შორის საჰაერო მიმოსვლას ორი ირანული ავიაკომპანია ასრულებს. ამ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „გაზზე მომუშავე მანქანების ტექინსპექტირებას 250 ლარი სჭირდება“

– თხევად აირზე მომუშავე ავტომობილების ტექინსპექტირებას, იგულისხმება როგორც აირბალონის, ისე სისტემის შემოწმება, ხანგრძლივი პროცედურა და დიდი თანხა – 250 ლარი სჭირდება.

ამის შესახებ საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების პრეზიდენტმა დავით მესხიშვილმა რადიო „პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

მესხიშვილის თქმით, ტექინსპექტირების გასავლელად დადგენილ თანხაზე დაწესებული უნდა იყოს ქვედა და ზედა ზღვარი, რათა არ მოხდეს მისი გაძვირება. ამასთან, მისივე თქმით, გამოსავალი აირბალონიანი მოწყობილობის სისტემის შემოწმების გადავადება იქნება, იმიტომ, რომ მძღოლები ამ პროცესისთვის მზად არ არიან.

– სახელმწიფომ ვერ შესთავაზა ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები ავტომფლობელებს, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი აღარ არის აღნიშნული მომსახურება, ამიტომ ყველაზე ლოგიკური გამოსავალი იქნება აირბალონიანი სისტემის შემოწმების გადავადება იმიტომ, რომ მძღოლები ამ პროცესისთვის მზად არ არიან.

მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ იმდენად, რამდენადაც პროცესი არის მოუმზადებელი, მით უმეტეს, არ არის ელექტრონული პროგრამა, არის ძველებური მოდელი, რომლითაც, ჩემი აზრით, შესაძლებელია, ამ საბუთების გაყალბება, რომლებიც დღეს გაიცემა.

ეს კიდევ უფრო ამძიმებს პროცესს. ასევე აღმოჩნდა, რომ ცენტრების რაოდენობა, რომლებმაც თხევადი გაზის აირბალონები და სისტემა უნდა შეამოწმონ, სრულებითაც არ არის საკმარისი და არის მხოლოდ ორი მოქმედი ცენტრი. მაგალითად, ბათუმში თუ არის მომხმარებელი, ის უნდა ჩავიდეს ქუთაისში ინსპექტირების ჩასატარებლად.

მისი თქმით, ტექინსპექტირების გავლას სჭირდება ხანგრძლივი პროცედურა და 250 ლარი.

– არ ვიცი, ვინ დაადგინა ეს თანხა. თუ მაგალითად, ჩვეულებრივი ინსპექტირების შემთხვევაში არის 60 ლარი და სახელმწიფო ამაში ჩაერია, რომ ვიღაცას არ აეწია თანხები ხელოვნურად, ამ შემთხვევაში საერთოდ არანაირი რეაქცია არ აქვთ შესაბამის სტრუქტურებს.

ამიტომ, დასადგენია ან ქვედა ზღვარი, ან ზედა ზღვარი, რადგან როცა შენ მძღოლს ავალდებულებ, რომ რაღაც აუცილებლად უნდა გააკეთოს, უნდა დავუშვათ რისკი, რომ შესაძლოა გაძვირდეს კიდევ, – აღნიშნა დავით მესხიშვილმა.

2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული რეგულაციით, თხევადი გაზის აირბალონიანი შემოწმება სავალდებულო გახდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძის საძმაკაცოს 21 მილიონი მისცეს გუდაურში ასაფეთქებლების დასამონტაჟებლად“

## ლევან ხაბეიშვილი: „ამ ფულით გუდაურს ოთხჯერ შემოარტყამდნენ წრეს წყალმომარაგებით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**

***– ლევან, საკმაოდ მძიმედ დაიწყო 2020 წელი. რთული ახალი წლის დღეები გვქონდა.***

– მძიმე აღმოჩნდა ახალი წლის დღეები. დავიწყოთ იმით, რომ ფატალური შეცდომა იყო, რაც გაუკეთეს მაჩალიკაშვილს. 19 წლის შვილს რომ მოუკლავ და მერე მისი კარვის ადგილას ლურჯ ვეშაპს წამოჭიმავ, არაადეკვატურობასთან გვაქვს საქმე. ჩვენ მუდმივად ვამბობთ, რომ ყველა წუთი ამ ხელისუფლების არის პრობლემატური. 24 წლის ბიჭი წამებით მოკლეს. ეს ხომ არ არის პირველი შემთხვევა, უკვე მერამდენე შემთხვევაზე ვლაპარაკობთ, როცა სისტემასთან გვაქვს პრობლემა. მაჩალიკაშვილი, სარალიძე, ახლა ეს წურწუმია და ძალიან ბევრი დაგროვდა უკვე.

***– გირგვლიანი 2 – ასე მოინათლა მურად წურწუმიას საქმე. ასეა?***

– არ მინდა რაღაც პარალელების გავლება, თუმცა თავისი შინაარსით და თავისი მოქმედებით, არათუ არ ჩამოუვარდება, შესაძლოა, უფრო სადისტურიც არის. თვალი ამოთხარეს ადამიანს და მკვდარი დააგდეს ქუჩაში. თან გააშიშვლეს და ისე დააგდეს. ნორმალურ და საღად მოაზროვნე ადამიანს ეს თავში აზრად როგორ უნდა მოუვიდეს.

ეს კაცი განსაკუთრებულ დეპარტამენტთა განყოფილების უფროსი ყოფილა. თან ერთი კაცი ჰყავთ დაკავებული, როცა ყველამ იცის, რომ ორნი იყვნენ და იმ მეორეს არავინ ახსენებს. ჟურნალისტებს რომ არ გაეგოთ, ამ ამბავს საერთოდ მიჩქმალავდნენ. რამდენია, რასაც ვერ ვგებულობთ.

***– ეს არის სისტემური დანაშაული? დააფარებენ ხელს მეორე პირს?***

– რა თქმა უნდა, სისტემური დანაშაულია. როდესაც თავად არის ხელისუფლება მოძალადე, როდესაც გახარიამ თავად გასცა 20 ივნისს ის ბრძანება, რომელიც გასცა, როცა მას ხელი ურევია კერზაიას საქმეში და პირადად არის ამის თანამონაწილე. ის ქალბატონი შეეწირა ამ ამბავს და გახარია ამ ყველაფერში პირადად მონაწილეობდა. ახალგაზრდებისთვის თვალების დათხრაში თავად აქვს მონაწილეობა მიღებული.

ხელისუფლებაში მოკალათებული ადამიანები კანონს კი არ ემსახურებიან, ემსახურებიან ერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს და ვინც არის მასთან მორჩილებაში და ბიძინა ივანიშვილის მხარეს არის, მათთვის ყველაფერი მოსულა. ზუგდიდის მერი კორუმპირებულია, თუმცა მას შეუძლია შაბათ-კვირას რესტორნებში იაროს მეუღლესთან ერთად, ხოლო სხვა ადამიანმა ნემსი რომ მოიპაროს, მაქსიმალურ სასჯელს მიუსჯიან.

ირაკლი ოქრუაშვილი რატომ ზის ციხეში?! ეს არავინ იცის. მე ირაკლი ოქრუაშვილის საქმე მომყავს მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს კაცი უდანაშაულოდ ზის ციხეში. ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები აბსოლუტურად განსხვავებულია, თუმცა სიმართლე სიმართლეა.

***– რობაქიძის საქმე 15 წლის მერე გაუხსენეს ოქრუაშვილს.***

– სწორედ მაგის თქმა მინდა, ამ კაცს 15 წლის წინანდელი საქმე გაუხსენეს და მე ეჭვი მაქვს, რომ შეთითხნილ საქმესთან უფრო გვაქვს საქმე.

***– აქამდე სულ ამბობდნენ, ნაციონალებს ვერ შეგვადარებთ, ჩვენ სისხლიანი რეჟიმი არ ვართო. თუმცა სიტუაცია ისე მიდის, რომ, მგონი, ამ საქმეშიც გადაუსწრებენ.***

– პირდაპირ ვთქვათ, დანაშაულებები, რომლებიც ხდება და ყოველდღიური ცხოვრების წესი გახდა ამ ცხოვრებაში, ეს ყველაფერი, იცით, საიდან დაიწყო?!

***– საიდან?***

– გახსოვთ, მიქაუტაძე 2013 წელს თვითმკვლელობამდე რომ მიიყვანეს და მაშინ ჭიკაიძე იყო თბილისის სამმართველოს უფროსი და სწორედ ჭიკაიძეზე იყო ლაპარაკი, რომ ის მონაწილეობდა მიქაუტაძის დაკითხვაში.

აი, ყველაფერი იქიდან დაიწყო. მაშინ რომ არავინ დაიჭირეს, მაშინ რომ არ გამოიძიეს, ყველაფერი რომ მიიჩქმალა, სწორედ ამ დროიდან იწყება და ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ათობით და ასობით საქმეზე, სადაც კონკრეტულ დანაშაულებებს ხელს აფარებს ხელისუფლება, იმიტომ, რომ თავად არის კრიმინალთან გარიგებაში შესული.

ამ კონკრეტული კრიმინალის გარდა, გუდაურსა და ბაკურიანში რომ ტურისტული სეზონი ჩააგდეს, ესეც დიდი კრიმინალია და აქ პირდაპირ ხელისუფლებაა დამნაშავე. მე გეტყვით, რაც მოხდა.

***– რა მოხდა?***

– ოქტომბრის ბოლო ან ნოემბრის დასაწყისი იყო, როცა მე გავასაჯაროე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ რაღაც სულელურ ტენდერში მილიონები გაიფლანგა

კალაძის მეგობარს, აკაკი ალადაშვილს, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს და მის ცოლისძმას, სერგო შულაროვს, ყოველგვარი ტენდერის გარეშე მისცეს 21 მილიონი ლარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მათ გუდაურში უნდა დაემონტაჟებინათ აპარატურა, ე.წ. ასაფეთქებლები, ზვავსაშიშროების თავიდან ასაცილებლად.

აი, ამაში მისცეს 21 მილიონი ლარი კალაძის საძმაკაცოს. თანაც მისცეს ისეთ კომპანიას, რომელსაც ზვავთან და გუდაურთან ახლოსაც არ ჩაუვლია, მემწვანილეები არიან ეს ადამიანები, სათბურები აქვთ და ასე შემდეგ. თუმცა, რახან კალაძის საძმაკაცო იყო, ამიტომ მისცეს 21 მილიონი ლარი.

21 მილიონად გუდაურს ოთხჯერ შემოარტყამდნენ წრეს წყალმომარაგებით. ან ეს ასაფეთქებლები სად არის, სად დაამონტაჟეს?!

***– ანუ ყველა სფეროში დანაშაულია, ყველგან კრიმინალია, სადაც არ უნდა ჩავიხედოთ?***

– კი, ზუსტად ასეა. ეს ხალხი ფიქრობს მარტო ფულის შოვნაზე. 21 მილიონი, პირდაპირი მნიშვნელობით, თოვლს გაატანეს, არანაირი აფეთქება წელს იქ საჭირო არ იყო, საერთოდ არ მოსულა თოვლი, სამაგიეროდ, გუდაურიც და ბაკურიანიც უწყლოდ დატოვეს.

***– ინფრასტრუქტურის მინისტრი აცხადებს, უნალექო შემოდგომის ბრალია ეს ყველაფერიო.***

– როდესაც ხალხი ტიროდა, გუდაურში წყალი არ გვაქვსო, ინფრასტრუქტურის მინისტრი მცხეთაში ქეიფობდა ბიძინა ივანიშვილთან ერთად. ნორმალურ ქვეყანაში ასე მოხდებოდა?! ტურისტულ სეზონზე, გუდაურზე, ბაკურიანსა და სვანეთზე მნიშვნელოვანი ახლა რამე არის ამ ქვეყანაში?!

როდესაც ხალხს ერთი ამბავი ჰქონდა, აქციებს მართავდა და ტელევიზიით გამოდიოდა, მოგვეშველეთ, ტურისტები გარბიანო, განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ, უფრო მეტიც, მცხეთაში წავიდნენ და იქ ქეიფობდნენ. ახალი წელია და რა მოხდა, აღვნიშნავთო. ისიც არ მოეწონათ, ჟურნალისტებმა რომ ჩააკითხეს.

აი, სადამდე ვართ მისულები. ახალ წელს



ვის ულოცავენ, ტურისტული სეზონი ჩააგდეს გუდაურში! რაც უნდა წყალი მიიყვანონ ახლა, უკვე იმდენი ინფორმაციაა გასული, რომ წყალი არ არის, ვინ ჩამოვა?! გუგლში რომ ჩაწერენ ჯორჯია და გუდაური, პირველ ნიუსად ამოუგდებს, რომ წყალი არ არის. ფაქტია, რომ სეზონს დედა უტირეს!

***– ძალიან მძიმედ დაიწყო ხელისუფლებამ 2020 წელი, როგორ დაასრულებს?***

– რომელი წელი დაიწყო უკეთესად?! განსხვავება ის არის, რომ ამ ყველაფერზე ახლა სწრაფ რეაგირებას ვაკეთებთ, თორემ რომელი წელი დაიწყო კარგად. ყველა წელი კიდევ უფრო მძიმე იყო. ვიდრე წინა წელი. უბრალოდ, ახლა მოთმინების ფიალა აევსოთ ადამიანებს და ეს ყველაფერი უფრო მკაფიოდ ჩანს.

ნახეთ, რა ხდება ჯანდაცვის სისტემაში! ამაზე ჩვენ 2013-20214 წლიდან ვსაუბრობდით. სულ ვამბობდით, რომ დიდი პრობლემაა, შავი ხვრელებია, არ შეიძლება ამ ყველაფრის ასე გაკეთება, რომ ეს მიგვიყვანს პრობლემამდე. პრობლემამდე კი არა, კატასტროფამდე მიგვიყვანა, ექიმების უმრავლესობას ხელფასები არ აქვს აღებული. 7 და 8 თვის აუნაზღაურებელი ხელფასებით შეხვდნენ ახალ წელს, საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?!

სისტემა არის თავიდან ბოლომდე ჩავარდნილი. ახლა მოიგონეს ახალი რეგულაცია, რომელიც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს პაციენტსაც, ექიმსაც, მოქალაქესაც, ბიუჯეტსაც და ქვეყანასაც.

# რატომ მიატოვა გუბაზ სანიკიძემ ირაკლი ოქრუაშვილი?

იაგო ნაცვლიშვილი

**ტოვებს თუ არა პარტია „გამარჯვებულ საქართველოს“? ხომ არ შეუერთდება „ნაციონალურ მოძრაობას“? რა სტატუსით შეხვდა მიხეილ სააკაშვილს? ეთანხმება თუ არა ოპოზიციის ე. წ. შავ სიას? როგორ აფასებს მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებს? მიიჩნევს თუ არა, რომ ამერიკა-ირანის კონფლიქტით სამყაროს მსოფლიო ომის რისკის წინაშე აყენებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკოსი და ისტორიკოსი გუბაზ სანიკიძე საუბრობს:**

***– თქვენ, როგორც ისტორიკოსი, როგორ აფასებთ მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებს? ხომ არ დგას სამყარო მესამე მსოფლიო ომის რისკის ზღვარზე?***

– რა თქმა უნდა. ხიფათები გაზრდილია ძალიან, მაგრამ მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და იმედი მაქვს, რომ დიდი ომი არ იქნება. იმიტომ, რომ დიდ ომს ერთი პირობა აქვს – ორი ბანაკი უნდა იყოს. ახლა კი ორი ბანაკი ნამდვილად არ არის მსოფლიოში და მათ შორის არც ახლო აღმოსავლეთში. თუ ვნახავთ დიდ ქვეყნებს, იგივე რუსეთი, ირანი, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები... ისინი დაინტერესებულები არიან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებით. მათ აქვთ თემატური მოკავშირეობები და არა მუდმივი და სიღრმისეული.

ამიტომ, მე მაინც ვთვლი, რომ დიდი ომი შეიძლება არ იყოს, მაგრამ იქნება წერტილოვანი დარტყმები, ტერაქტები და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი, როგორც ჩანს, იქნება. ვიტოვებ იმედს, რომ ეს არ გადაიზრდება გლობალურ ომში, რომლის ალბათობაც არსებობს.

***– იქიდან გამომდინარე, რომ ირანი, პრინციპში, ჩვენი რეგიონის ქვეყნად ითვლება, გარკვეული რისკი ჩვენ წინაშეც ხომ არაა და რამდენად სწორია ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, როდესაც ამ კონფლიქტზე ისინი დუმილს ამჯობინებენ?***

– არა, სწორი ვერანაირად ვერაა. ჩვენი



## „მე ვთანამშრომლობ ყველა ოპოზიციურ პარტიასთან“

ხელისუფლება არის ბრმა, ყრუ და მუნჯი. წარმოდგენა არ აქვთ ამ პროცესებზე. მე გეუბნებით ამას იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან კარგად ვიცნობ „ქართული ოცნების“ შემადგენლობას. ამ საქმეში ჩახედული არც ერთი სპეციალისტი არ ჰყავთ – არც პარლამენტში და არც მთავრობაში. არც ერთი სტრუქტურაში. ამის დახასიათებისას ვერ ვიქნები ორიგინალური. ასეთ გაუგებარ ვითარებაშია.

***– ამ ვითარებაში როგორ უნდა მოიქცეს? თქვენ რომ იყოთ ხელისუფლებაში, რას გააკეთებდით?***

– ეს ისეთი თემაა, რომ ძალიან ბევრი საუბარი მოგვიწევს და ამას ორი წინადადებით ვერ ვიტყვი. უბრალოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ვითარებაში საქართველოს აქვს მოქმედების საკმაოდ საინტერესო ამპლიტუდა. ჩვენ შეიძლება ხიფათები გველოდება, მაგრამ რამდენადაც ხიფათები იზრდება, იმდენად პერსპექტივები იზრდება ჩვენი ქვეყნისთვის. იმიტომ, რომ დიდი პოლიტიკა ისევ ბრუნდება ახლო აღმოსავლეთში, დიდ აღმოსავლეთში, რომლის ნაწილი ჩვენც ვართ, მათ შორის კავკასიაც.

მაგრამ არის ბევრი დეტალი. ბევრი რაღაცის თქმა შეიძლება, ბევრი რაღაცის თქმა არ შეიძლება, მაგრამ გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია.

***– ანუ, ამ ვითარებაში ჩვენი ხელისუფლების მხრიდან დიპლომატიის გააქტიურებაა საჭირო?***

– დიპლომატია ყველა ვარიანტში გასააქტიურებელია. იმიტომ, რომ დიპლომატია ჩვენ არ გვაქვს. საგარეო საქმეთა სამინისტრო რატომ აქვს ამ ქვეყანას, მე არ ვიცი. თქვენ თუ გახსოვთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი რაიმეზე ან რეაგირებდეს, ან რაიმე განცხადებას აკეთებდეს, ან რაიმე აქტივობები ჰქონდეს?! არაფერი მსგავსი არ ხდება! საგარეო საქმეთა სამინისტრო ზის სახლში. ასეთი რამე მე არ გამიგია, მაგრამ საქართველო ხომ სასწაული ქვეყანაა, ყველაფერი უცნაურობა ხომ ჩვენთან ხდება?!

***– პერსპექტივა რა თვალსაზრისით ჩნდება? იმ მხრივ, რომ შესაძლებლობა ჩნდება, რომ ანგარიშგასაწევი ქვეყანა გავხდეთ?***

– ჩვენი ქვეყნის როლი იზრდება. პოლიტიკას, ეკონომიკას, ყველაფერს მაინც წყვეტს გეოგრაფია. საქართველოს აქვს ერთ-ერთი საუკეთესო და სახიფათო მდგომარეობა. მსოფლიოში გეოპოლიტიკურ მდგომარეობას ვგულისხმობ. საქართველოს საჭიროება იზრდება ყველასათვის, გამონაკლისების გარეშე – ამერიკისთვისაც, რუსეთისთვისაც, ირანისთვისაც, თურქეთისთვისაც, ჩინეთისთვისაც. ჩინეთიც ნელ-ნელა, ჩუმად და შეპარვით ჩნდება უკვე ახლო აღმოსავლეთში.

ასე რომ, პერსპექტივაც დიდია, მაგრამ ამასთან არაკომპეტენტური ხელისუფლების პირობებში ხიფათიც იზრდება.

***– დასავლეთი არაპირდაპირ, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით მუდმივად უარს გვეუბნება ნატოში გაწევრიანებაზე და პერსპექტივა ამ მხრივაც ხომ არ ჩნდება, რომ კიდევ უფრო დავუახლოვდეთ ნატოსა და ევროკავშირს?***

– მე ცოტა სხვანაირი შეხედულება მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ნატოს საკითხი ჭიანურდება და გაჭიანურდება. მე ვფიქრობ, რომ საქართველომ პირდაპირი სამხედრო სტრატეგიული ხელშეკრულებებით უნდა იაროს. მაგალითად, პირდაპირი სამხედრო-სტრატეგიული ურთიერთობა აშშ-თან. იმიტომ, რომ ევროპელებს სძინავთ და კარგა ხანი ვერ გაიღვიძებენ.

***– ამ პროცესშიც სძინავთ?***

– ამ შემთხვევაში ჩვენთვის შეიძლება მისაღები იყოს ისრაელის საგარეო მოდელი, რომელიც არც ნატოს წევრია და არც ერთი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების წევრი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის და ზოგადად დასავლეთის და მოქმედებს თავისუფლად. ამიტომ, ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ.

რახან გადადებულია ჩვენი საკითხი ნატოსა და ევროკავშირის დღის წესრიგში, მაშინ უნდა ვიაროთ ცალ-ცალკე. ცალკე ხელშეკრულებები და ურთიერთობები გავაფორმოთ გერმანიასთან, საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან, აშშ-თან და ისრაელთანაც გვაქვს ძალიან სერიოზულად ურთიერთობები ამოსაქაჩი. იმიტომ, რომ ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობები ჯერჯერობით სუფრას და სადღეგრძელოებს ვერ გასცდა. 100 წელია ვიძახით 26 საუკუნოვანი მეგობრობა გვაქვსო, მაგრამ აღარ მოემატა და 27 საუკუნე აღარ გახდა?! ამიტომ სამუშაო ბევრი გვაქვს. ჩვენ გვჭირდება ძლიერი დიპლომატიური კორპუსი და ძალიან ძლიერი ფიგურა საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელიც არ გვყავს.

***– შიდა პოლიტიკურ საკითხებზეც გადავიდეთ. თქვენ როგორ აფასებთ იმ „შავ სიებს“, რომლის შედგენაც დაიწყეთ ოპოზიციამ და რატომ გახდა ეს საჭიროება?***

– ეს აუცილებელია. იმიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ დანაშაული ხდება და პასუხისმგებლობას ვაკისრებთ მარტო უმაღლესი თანამდებობის პირებს, ამ დროს საქმეს შუა და ქვედა რგოლებიც აფუჭებენ. ამიტომ, შუა და ქვედა რგოლების წარმომადგენლებიც უნდა დაისაჯონ ამ ქვეყანაში. არჩევნების გაყალბებისთვის, სასამართლოში უსამართლობისთვის და ა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „საპატრიარქოზე ახალი შეტევა დაიწყო იმიტომ, რომ პატრიარქის რეიტინგი ვერ დაასამარეს“

მარიამ მჭედლიშვილი

## ლევან ჩაჩუა: „საზოგადოება ქოცების და ნაცების გარიგებას არ დაუშვებს“

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

***– პრეზიდენტმა არ შეიწყალა დეკანოზი გიორგი მამალაძე. ამას მოჰყვა მღელვარება. ხალხი თვლის, რომ ეკლესიაზე შეტევის მორიგი რაუნდი იწყება. ეკლესიაზე იერიშის ნიშნებს ხედავთ?***

– საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე შეტევა დიდი ხანია მიმდინარეობს. ბოლო წლებში ეს თავდასხმები გამძაფრდა. ამჟამად ეკლესიასთან მებრძოლებმა გამოიყენეს ის, რომ პრეზიდენტმა არ შეიწყალა გიორგი მამალაძე. რატომღაც ამაში დაადანაშაულეს კათოლიკოს-პატრიარქი. ასეთი ბრალდება აბსურდულია. გასაგებია, რატომაც განახლდა ეკლესიაზე შეტევა.

***– რატომ განახლდა?***

– საპატრიარქოზე ახალი შეტევა დაიწყო იმიტომ, რომ პატრიარქის მაღალი რეიტინგი ვერ დაასამარეს და ხალხი ეკლესიებს ვერ მოსწყვიტეს, როგორც დაგეგმილი იყო. მრევლმა შეინახა საშობაო მარხვა და ღირსეულად აღნიშნა შობის ბრწყინვალე დღესასწაული, შობის ღამეს თითქმის ყველას, პატრიარქის მოწოდების თანახმად, სახლის ფანჯრებში სანთელი ენთო. ტაძრებში ხალხის ტევა არ იყო. 4 იანვარს, მისი უწმინდესობის დაბადების დღეს, მასთან მისალოცად უამრავი ადამიანი მივიდა.

რამდენიმე დღის დაგვიანებით თქვენი სახალხო გაზეთით ვულოცავ მას დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ეკლესიას უტევენ ანტიეკლესიური ძალები, რომლებიც მოკალათებული არიან პოლიტიკაში, ხელისუფლებაში, არასამთავრობო სექტორში, მედიაში და ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ. ბოლო პერიოდში ნანახმა მათზე გამანადგურებლად იმოქმედა. ისინი მიხვდნენ, რომ დიდმა შრომამ ტყუილად ჩაუარათ – ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეკლესიურია, პატივს სცემს პატრიარქს და არ ეგება ულტრალიბერალების



ანკესებს.

***– არალიბერალებიც საჯაროდ აცხადებენ, რომ ეკლესიებში, მათ შორის, წმინდა სამების ტაძარში, მრევლი საგრძნობლად შემცირდა.***

– ეს სრული სიცრუეა. ტაძრები სავსეა. ვიღაცას უნდა, შეარყიოს რწმენა ადამიანებში. ურწმუნო, არაფხიზელი და გარყვნილი მასის მართვა უადვილესია. ჭეშმარიტად მორწმუნე და პატიოსანი ხალხით მანიპულირება არის შეუძლებელი. მორწმუნე ნებისყოფით და სიფხიზლით გამოირჩევა. მისი მოტყუება და მართვა უჭირთ. ამიტომაა, რომ ასეთი გაშმაგებით უტევენ სარწმუნოებას და ხელს უწყობენ ნარკომანიას, ლოთობას, აზარტულ თამაშებსა და გარყვნილებას. ამის გამოა, რომ 87 წლის პატრიარქსაც კი აშანტაჟებდნენ.

***– ახლაც ისმის მუქარები რაღაცის გამოქვეყნებაზე.***

– მეუფეებმა ამას საკადრისი პასუხი გასცეს. რა უნდა ჰქონდეთ გასასაჯაროებელი! ეტყობა, რაღაც ჭორებს დაყრიან.

***– მალე რელიგიურ საკითხებს პოლიტიკურიც დაერთვება. ერთ-ერთი მთავარი თემა ისევ საარჩევნო საკითხებია.***

– სხვათა შორის, პოლიტიკური პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასულიერო საკითხებთან. ანტირელიგიურ ძალებში არიან პოლიტიკოსებიც. მათ შორის, ისინი, რომლებიც ნოემბერ-დეკემბერში პარლამენტთან აქციებს მართავდნენ. ხომ გამოჩნდა, რომ ამ პოლიტიკოსებს ქვეყნის შიგნით დასაყრდენი არ ჰყავთ.

***– გინდათ თქვათ, რომ გარეთ ჰყავთ დასაყრდენი?***

– როგორც ვატყობ, ჰყავთ. ქვეყნის შიგნით ხალხს მათი დანახვა არ უნდა. ხომ ნახეთ, 30-ზე მეტი პარტია გაერთიანდა ერთობაში და თითომ 100 კაცი ვერ მიიყვანა. ეტყობა, პარტიის წევრებიც არ ჰყავთ. ასეთი პარტია რატომ უნდა იყოს რეგისტრირებული? ზოგიერთი ასეთი ერთკაციანი პარტია ბიუჯეტიდანაც ფინანსდება. ეს უსამართლობაა. ხალხის ფული ამაში ან უნდა იხარჯებოდეს.

***– ეს პარტიები არჩევნებში იღებენ მონაწილეობას. მათ ლიდერებს საზოგადოება იცნობს.***

– რომ იცნობს, სწორედ იმიტომ აღარ უნდა ამ ოდიოზური ფიგურების ატანა! შეგიძლიათ ჩაატაროთ გამოკითხვა და ნახავთ, როგორ აღიზიანებენ ხალხს ეს გაცვეთილი, პარტიებგამონაცვალი, დისკრედიტირებული სახეები. მათი დანახვა ტელევიზიებშიც აღარ შეუძლიათ.

ხშირად ვისმენ, რომ პოლიტიკაში ახალი და გაუსვრელი სახეები უნდა მოვიდნენ და არა ისინი, ვინც 30 წელიწადია აქტიურ პოლიტიკაშიაო. მიმაჩნია, რომ თითო-ოროლა პატიოსანი პოლიტიკოსი ძველებშიც მოიძებნება.

***– ახალი სახეები გამოჩნდებიან?***

– აუცილებლად. ჩამოყალიბდება სხვა ერთობა, რომელიც დაეფუძნება სულიერებას და ქართულ ცნობიერებას, ანუ ეროვნულ იდეოლოგიას, ტრადიციებსა და კულტურას. ამ გაერთიანებაში შევალთ არადისკრედიტირებული პოლიტიკოსები და არაპოლიტიკოსები. არჩევნებში ერთად გამოვალთ. სამწუხაროდ, მანკიერი საარჩევნო გარემო არ შეცვლილა – არ გაუმჯობესებულა სიები, ცესკოს დაკომპლექტების წესი, არ მიღებულა კანონი ხმების „ლაივში“ დათვლის შესახებ და სხვა.

***– დავუშვათ, არაფერი იცვლება, არც გარემო უმჯობესდება და შერეული სისტემა რჩება. რა იქნება მაშინ?***

– საარჩევნო თამაშები მაინც არ გამოუვათ: საზოგადოება არ დაუშვებს, რომ ნაცები, ქოცები და მათი განშტოებები არჩევნების დროს გარიგდნენ. გარიგების საშიშროება არსებობს. ხომ ხედავთ, ეს ოპოზიციური ერთობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას არ მოითხოვს. მარტო პროპორციული არჩევნები და გერმანული მოდელი აკერიათ პირზე.

***– ზოგიერთი ექსპერტი არჩევნების ჩაშლასაც ვარაუდობს.***

– ასეთ ნიჰილისტურ განწყობებს არავინ არ უნდა აღვივებდეს. რას ჰქვია არჩევნების ჩაშლა?! აბა, ქაოსი უნდა იყოს? არჩევნებს ალტერნატივა არა აქვს.

***– ფიქრობთ, რომ საზოგადოება თავის ხმებს დაიცავს?***

– თუ ხალხმა დაინახა, რომ ქოცები და ნაცები მანდატებს ინაწილებენ, დესტაბილიზაცია მაშინ მოხდება. სიმართლე არის გარეთ, ხალხში და არა მათ პარტიულ ტელევიზიებში. საზოგადოების განწყობა სწორედ ისეთია, რასაც ვამბობ. საარჩევნო სისტემა მანკიერია, მაგრამ ქოცებსა და ნაცებს ხალხი წინ აღუდგება და მათ მასშტაბური გაყალბების საშუალებას არ მისცემს.

***– არჩევნების დღეს იაქტიურებს საზოგადოება?***

– მანამდეც. ვატარებთ კონსულტაციებს აქტიურ გაუსვრელ ადამიანებთან. ვაპირებთ რეგიონებში სიარულს. იქ უკვე ბევრი მომხრე გამოგვიჩნდა. არჩევნებამდე რეგიონებიდან ხალხს ჩამოვიყვანთ და ხელისუფლებას ხალხის ძალას დავანახვებთ.

ეს იქნება მშვიდობიანი აქცია არჩევნების წინ. არა მგონია, „ქართულმა ოცნებამ“ და მასთან გარიგებულმა ოდიოზურმა ოპოზიციამ გაყალბება გაბედონ. გაბედავენ და ადამიანები მათ ყალბ დეპუტატებს ნაგვის ურნებში ჩატენიან, როგორც უკრაინაში მოხდა.

# სოსო ცინცაძე: „მესამე მსოფლიო ომის დაწყებას გამოვრიცხავ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირან-ამერიკის დაპირისპირებაზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ირანსა და ამერიკას შორის ურთიერთობები იძაბება. ეს დაძაბულობა რამდენად შეიძლება საქართველოს შეეხოს?***

– საქართველო არაფერ შუაში არ არის ამ ურთიერთობებში და უმჯობესია, ასე ჩუმად იყოს. ჩვენ ეს დაპირისპირება არ შეგვეხება თუ, რასაკვირველია, დიდი ომი არ დაიწყება. თუ დიდი ომი დაიწყება, მაშინ არათუ შეგვეხება, ირანი აგერ ყურის ძირშია და ჩვენს ახლო საზღვრებთან აგიზგიზებული ცეცხლი უკვალოდ არ ჩაივლის. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ მსოფლიო ომი არ იქნება. უკვე ევროკავშირმა მკვეთრი დიპლომატია აამუშავა და პარასკევს, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი სამიტზე დაპატიჟა. მგონია, რომ მოლაპარაკებების გრძელი ეტაპი დაიწყება.

ერაყში განლაგებულ ამერიკის ბაზას ირანმა 13 რაკეტა დაუშინა, მაგრამ მსხვერპლი არ არის. ტრამპს შეუძლია მშვიდად იყოს. ტვიტერზე დაწერა კიდეც, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არისო.

***– თქვენ მაინც რას უკავშირებთ გენერალ სოლეიმანის ლიკვიდაციას, რაში აწყობდა ტრამპს ახლა ეს დაპირისპირება?***

– ეს მე მაგონებს ბარაკ ობამას მიერ თავის დროზე ბინ ლადენის განადგურებას. ტრამპს ახლა ძალიან რთული პერიოდი აქვს. იმპიჩმენტის პროცედურა დაწყებულია. თანაც, მეორე ვადითაც აპირებს კენჭისყრას და რაღაც უნდა „ჩაედინა“. ეს „მსხვერპლი“ ტრამპს სჭირდებოდა. თან იცის, რომ ირანისა და ამერიკის შესაძლებლობები მკვეთრად განსხვავდება. ირანი კი იმუქრება, მაგრამ მუქარა მხოლოდ მუქარად რჩება.

ირანს არც ეკონომიკური, არც სამხედრო, არც პოლიტიკური მდგომარეობა არ აქვს, რომ ამერიკასთან ღია ომში ჩაებას. ტრამპასაც არ აწყობს ომი, რადგან კარგად იცის, რომ მთელი ზაფხული, წინასაარჩევნო კამპანია შეიძლება სულ სხვა ტონალობაში წარიმართოს. ომი არც ერთ მხარეს არ აწყობს. ამიტომ, მე გამოვრიცხავ ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდს მესამე მსოფლიო ომთან დაკავშირებით.

ახლა მთავარია, ტრამპი არ გამოვიდეს ბირთვული შეთანხმების ხელშეკრულებიდან, როგორც ეს ირანმა გააკეთა. მაშინ უკვე ძალიან რთული იქნება, თითქმის შეუძლებელი ამ შეთანხმების შენარჩუნება. ახლა ევროპელები, ევროკავშირი სწორედ ამისთვის იბრძვის და მთელ თავის დიპლომატიურ ძალებს აქეთკენ მიმართავს.

კონსენსუსი არსებობს, რომ ირანს არ უნდა ჰქონდეს ბირთვული იარაღი, მაგრამ როგორ იქნება ეს მიღწეული, ძალიან რთული სათქმელია, რადგან ეს პრობლემა უკვე სულ სხვა სიბრტყეში გადადის.



***– ტერორისტულ აქტებს გამორიცხავთ?***

– ფართომასშტაბიანს გამოვრიცხავ. ისე, წვრილ-წვრილი ტერაქტები მუდამ იყო. მთავარია, დიდი ომი არ დაიწყოს და ნავთობზე ფასები არ გაიზარდოს, ახლა ეს არის მთავარი საზრუნავი.

***– ექსპერტები ნავთობზე ფასების გაზრდას არ გამორიცხავენ.***

– დიახ, ფასების 4%-იან გაზრდაზეა საუბარი, მაგრამ ესეც ჩვენ არ უნდა გვაწუხებდეს, რადგან ჩვენთან რაც უნდა მოხდეს, დადებითი თუ უარყოფითი მოვლენა, ფასები მაინც იზრდება. ამიტომ, მაინცდამაინც არ მგონია, ასე შეგვეხოს.

***– ვაშინგტონ პოსტში ირანელი ჟურნალისტის წერილი გამოქვეყნდა, სადაც ის ამბობს, რომ გადაჭარბებულია გენერალ სოლეიმანის შესახებ ირანელი ხალხის შეხედულება, მისი გაფეტიშება, რომ ხშირ შემთხვევაში ნაძალადევად ხდება ხელისუფლების მხრიდან ეს ყველაფერი. რას იტყვით?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ ასეთ მასობრივ აღტკინებას, ადამიანების ეგზალტირებას ხელოვნურად ვერ გამოიწვევ. ხომ ხედავთ, ზედახორა მოხდა და რამდენიმე ადამიანი დაიღუპა დასაფლავების ცერემონიალზე.

ირანში გენერალი სოლეიმანი გრანდიოზულად პოპულარული ფიგურა იყო.

მე ვფიქრობ, რომ ირანს მოლაპარაკების მაგიდასთან მოუწევს დაჯდომა. მართალია, ამ მაგიდასთან არაფერი გადაწყდება, მაგრამ პროცესი კალაპოტს დაუბრუნდება და ერთგვარი გაყინვა მოხდება. მით უფრო, როდესაც წინ არჩევნებია. ამერიკა, უფრო ზუსტად კი ტრამპი, ირანთან ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა, ეს გამორიცხულია.

საქართველოში ორივე სახელმწიფოს საელჩოა. ჩვენს საგარეო უწყებას ორივე საელჩოსთან ექნება ურთიერთობა. მართალია, ამ დაპირისპირებაში ჩვენი როლი მოკრძალებულია, მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი ეროვნული ინტერესები და ეს ინტერესები უნდა დავიცვათ.

# შეწყვეტს თუ არა საქართველო ირანის ავიასივრცეში ფრენებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დროისთვის, ორივე ავიაკომპანია დადგენილი განრიგის შესაბამისად ასრულებს რეისებს. ამ ეტაპზე შეტყობინება რეისების გაუქმების შესახებ სააგენტოში არ შემოსულა. ავიაკომპანიები თვითონ ცვლიან მარშრუტებს, ავიაკომპანიებსაც აქვთ ამის უფლებამოსილება. ქართული ავიაკომპანიები სამგზავრო რეისებს არ ასრულებენ ირანის მიმართულებით და რეკომენდაცია არ გაგვიცია, – განაცხადეს სააგენტოში.

ცნობისთვის, საერთაშორისო ავიაკომპანიების ნაწილი ირანისა და ერაყის ავიასივრცეში ფრენებს წყვეტს. განცხადება ამის თაობაზე სამხრეთ კორეის, მალაიზიის, სინგაპურისა და ჩინეთის ავიახაზებმა გააკეთეს.

მათი თქმით, ისინი თავიდან აირიდებენ ირანისა და ერაყის საჰაერო სივრცის გამოყენებას. აღნიშნული მიზეზი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებია.

# რატომ მიატოვა გუბაზ სანიკიძემ ირაკლი ოქრუაშვილი?

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შ. საქმეს ზუსტად ასეთი ადამიანები აფუჭებენ. ისინი აღასრულებენ სიბოროტეს ქვეყანაში.

***– თუმცა, პირველ ხუთეულში არ მოხვდნენ ისეთი პირები, ვისზეც უარყოფითი დამოკიდებულებაა საზოგადოებაში. არც გახარია, არც მურუსიძე, არც ივანიშვილი. რატომ?***

– არ ვიცი. მე არ ვარ ჩართული ამ პროცესში და სიის შედგენაში მონაწილეობას არ ვიღებ, მაგრამ ზოგადად პრინციპს, რომ უნდა გაკეთდეს „შავი სია“, მხარს ვუჭერ.

სხვა ენა ამათ არ ესმით და უნამუსოს ნამუსზე არ უნდა ელაპარაკონ. უნამუსოს უნდა შეუზღუდო მოქმედების არეალი.

***– თქვენ რა გადაწყვეტილება მიიღეთ? რჩებით ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში? ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, რომ გამოვიდა ხმები, თითქოს დატოვეთ პარტია. განსაკუთრებით კი მას შემდეგ გააქტიურდა ამაზე საუბარი, რაც სააკაშვილს შეხებოდა. რა პასუხი გაქვთ?***

– მე გეტყვით რა მდგომარეობაა. სააკაშვილს მე შევხვდი ჩემი ინიციატივით. პარტია და პარტიულობა აქ არაფერ შუაში არ იყო. ეს იყო ჩემი პირადი ვიზიტი კიევში. რაც შეეხება პარტია „გამარჯვებულ საქართველოს“, ირაკლი ოქრუაშვილის დაჭერის შემდეგ, ამ პარტიის პოლიტიკური ჯგუფის პერსპექტივები ძალიან ბუნდოვანი გახდა. ირაკლი ოქრუაშვილი მაინც გადამწყვეტი ფიგურაა ამ საქმეში. ასე დავტოვოთ საკითხი, რომ არ ვარ საბოლოოდ ჩამოყალიბებული – რა, როგორ და რანაირად იქნება და პირადად მე რა გადაწყვეტილებებს მივიღებ. ასეთი მდგომარეობა გვაქვს.

***– ბოლო პერიოდში იმიტომ არ ჩნდებით ხოლმე პარტიის ლიდერებთან ასე ხშირად?***

– არა, როგორ არ ვჩნდები. მიტინგებზე ერთად ვართ. როდესაც ოპოზიციური შეკრებაა, იქ მე საერთოდ არ დავდივარ. იმიტომ, რომ მაღალი ნდობა მაქვს ჩემი პოლიტიკური პარტნიორების მიმართ და ვენდობი მათ გადაწყვეტილებებს. არ ვთვლი საჭიროდ, რომ მეც ვიარო ოპოზიციურ შეკრებებზე. გადაწყვეტილებებს იღებენ საკმაოდ ეფექტურად და სწრაფად და მე მას მხარს ვუჭერ. მხარს ვუჭერ საერთო ოპოზიციურ გადაწყვეტილებებს ყველა ვარიანტში.

***– მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობაში“ გაწევრიანებასაც ხომ არ განიხილავთ?***

– არა. პარტიული გაწევრიანება დამთავრდა. მე ვთანამშრომლობ ყველა ოპოზიციურ პარტიასთან. ოღონდ, ეს სურვილი, რა თქმა უნდა, ორმხრივი უნდა იყოს.

***– თუ „გამარჯვებულ საქართველოს“ დატოვებთ, მაშინ დამოუკიდებლად გააგრძელებთ პოლიტიკურ ცხოვრებას, ასე წარმოგიდგენიათ თუ როგორ?***

– ამჟამად მე ვმოქმედებ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პოზიციით. მე არ წარმოვადგენ არავის, მე წარმოვადგენ მხოლოდ და მხოლოდ გუბაზ სანიკიძეს.

# მურად წურწუმიას მკვლელობის საქმეზე ვახტანგ ბურძენაძეც დააკავეს

თბილისში, 2 იანვარს, დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი დაპირისპირების შემდეგ გარდაცვლილი 24 წლის მურად წურწუმიას ოჯახმა დაპირისპირებაში მონაწილე მეორე პირის დასჯაც მოითხოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარდაცვლილი ახალგაზრდის ბიძამ, მანუჩარ წურწუმიამ განუცხადა, შემთხვევაში მონაწილე მეორე პირიც სპეცრაზმელია.

ბიძის განმარტებით, 2 იანვარს, დამპალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე, მისი ძმისშვილები – მუხრან ჩხვირკვია-წურწუმია და მისი ძმა მურად წურწუმია სპეცრაზმელ ზურაბ ფოფხაძის მანქანაში გათბობისა და თამბაქოს მოკიდების მიზნით ჩასხდნენ.



მანუჩარ წურწუმიას თქმით, როდესაც ფოფხაძემ მის მანქანაში მსხდომი ძმები დაინახა, მის თანმხლებ პირთან ერთად მივიდა მანქანასთან, რის შემდეგაც ძმებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ბიძა ამბობს, რომ დაპირისპირებისას ერთ-ერთმა ძმამ, მუხრან ჩხვირკვია-წურწუმიამ, თავს გაქცევით უშველა, ხოლო მისმა ძმამ, მურად წურწუმიამ, გაქცევა ვერ შეძლო.

– შესცივდათ, ჩასხდნენ მანქანაში, სანთებელით სიგარეტს მოუკიდეს. არსად წასულან. მუხრანი ამბობს, რომ ვიდრე მანქანიდან გადმოვიდოდნენ, სპეცრაზმელმა ორივეს ცემა დაუწყო, თუმცა თვითონ გაიქცა, მურადი კი ადგილზე დარჩა. როცა გარკვეული დროის მერე მუხრანი უკან დაბრუნდა, ძმა ადგილზე ველარ ნახა.

ამბობენ, რომ სპეცრაზმელმა მურადი, რომელმაც თავს გაქცევით ვერ უშველა, საკუთარ სახლში წაიყვანა, თუმცა ჩვენ ის ვიცით, რომ მეორე დღეს, დამპალოს სასაფლაოსგან 3-4 კილომეტრის მოშორებით, გარდაცვლილი ვნახეთ ჩემი ძმისშვილი. გადავიყვანეთ საავადმყოფოში, გული ჯერ კიდევ მუშაობდა. ექიმმა მითხრა, დროულად რომ მოეყვანათ, ეშველებოდაო. დარეკილია 112-ში, თუმცა ვინ დაურეკა, არ ვიცი.

მუხრანი ამბობს, რომ სპეცრაზმელის თანმხლები პირიც და სპეცრაზმელიც ორივე მირტყამდაო. ამ ადამიანის დასჯასაც მოვითხოვთ. ამბობენ, რომ ისიც სპეცრაზმის თანამშრომელია, – განაცხადა მანუჩარ წურწუმიამ.

ინფორმაციას, რომ დაპირისპირებაში მონაწილე მეორე პირიც სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენელია, არ ადასტურებენ გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ნიუპოსტის ცნობით, დამპალოს სასაფლაოზე, სადაც დაპირისპირება მოხდა, ზურა ფოფხაძესთან ერთად, მისი მეგობარი ვახტანგ ბურძენაძეც იმყოფებოდა.

ვახტანგ ბურძენაძე საცხოვრებელ სახლში არ გამოჩენილა. გუშინ საღამოს კი ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ ვახტანგ ბურძენაძეც დააკავა.

„თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეექვსე ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილი ჯგუფურად, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) და სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ჩადენილი ჯგუფურად) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულის სახით დაკავებულია ვ.ბ.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 2 იანვარს, ღამის საათებში, მ. ჩ. და მ. წ. იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ე.წ. „დამპალოს სასაფლაოს“ ტერიტორიაზე, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ბრალდებული ზ. ფ. და ვ. ბ.

ხსენებულ პირებს შორის ურთიერთშელაპარაკება წარმოიშვა მ. ჩ. -ს და გარდაცვლილ მ. წ.-ს მიერ ბრალდებულ ზ. ფ. -ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ნიადაგზე.

ბრალდებული ზ. ფ. მის თანმხლებ პირთან ვ.ბ.-სთან ერთად შეეცადა ზემოხსენებული პირების შეჩერებას.

კონფლიქტში მონაწილეთა შორის ფიზიკური დაპირისპირება გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომლის დროსაც ბრალდებულმა ზ.ფ.-მ ვ.ბ.-სთან ერთად ჯგუფურად, მ.წ.-ს მიაყენეს სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის დაზიანებები, რამაც ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ხოლო მ.ჩ.-მ ბრალდებულების მხრიდან ჯგუფურად განხორციელებული ცემის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.



## ე.გ.-მ თავის მანქანაში ბრიტანეთის მოქალაქე თ.ჰ. გააუპატიურა

### მას 7 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გაუპატიურების ფაქტზე ბრალდებული ე.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ე.გ.-მ 2019 წლის 26 ივლისს, ღამის საათებში, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, მის მფლობელობაში არსებულ ავტომობილში, ბრიტანეთის მოქალაქე თ.ჰ. გააუპატიურა.

„სამართალდამცველებმა ე.გ. 2019 წლის 27 ივლისს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## ჭიათურაში 30 წლის ქალი გრიპის ვირუსით გარდაიცვალა

ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სავარაუდოდ, მწვავე ვირუსული ინფექციით 30 წლამდე ქალი გარდაიცვალა.



გარდაცვლილი ჭიათურის კლინიკაში გრიპის ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით იყო გადაყვანილი.

როგორც ექიმები „კურიერთან“ ამბობენ, პაციენტი კლინიკაში 7 იანვარს შეიყვანეს, მათი განმარტებით, ახალგაზრდა ქალი ჰოსპიტალიზაციიდან საათნახევარში გარდაიცვალა.

სასწრაფოს ექიმის განცხადებით, პაციენტი, სასწრაფოს გამოძახების პირველ შემთხვევაში, საავადმყოფოში გადაყვანის წინააღმდეგი თავად იყო.

– გამოძახება იყო ტემპერატურულ რეაქციაზე, როდესაც მივიდა მასთან ექიმი, ტემპერატურა უკვე დავარდნილი იყო, მდგომარეობა კი დამაკმაყოფილებელი. მოსმენის შედეგად, არაფერი იკვეთებოდა. მეორე გამოძახება 7-ში, გამთენიისას იყო, მაშინ უკვე მუცლის ტკივილი აღენიშნებოდა პაციენტს, რაზეც მანვე აღნიშნა, რომ ზოგადად ჰქონდა გასტროენტერიტი და ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ტემპერატურა 37.5 გრადუსი ჰქონდა, წნევა კი, რომელსაც მუდმივად ატარებდა გახლდათ 90-60-ზე, ხოლო ჩვენი მისვლის შემდეგ 80-60-ზე იყო. სუნთქვის სიხშირე კი 23.

ის საავადმყოფოში მეორე სასწრაფომ გადაიყვანა, პირველ შემთხვევაში კი თვითონვე იყო გადაყვანის წინააღმდეგი, – განაცხადა სასწრაფოს ექიმმა.

## ხანძარი წყალტუბოს ყოფილ სანატორიუმ „მეგობრობაში“



### 2 ადამიანი დაიღუპა

წყალტუბოში ხანძრის შედეგად 2 ადამიანი გარდაიცვალა.

ხანძარი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე, ყოფილ სანატორიუმ „მეგობრობაში“ გაჩნდა, რომელიც ამჟამად დევნილთა საერთო საცხოვრებელია.

გარდაცვლილები 65 წლამდე ქალები არიან.

– 3-სართულიან შენობაში ხანძარი მეორე სართულზე გაჩნდა. ადგილზე მისულ მეხანძრე-მაშველებს 1 ოთახში ხანძრის ღია კერა და 2 ადამიანი გარდაცვლილი დახვდათ. შენობაში 1 ოთახი დაიწვა და მეხანძრე-მაშველებმა მოახერხეს, რომ ხანძარი მთლიან შენობაზე არ გავრცელებულიყო.

მოხდა 35 მოქალაქის უსაფრთხო ევაკუაცია, ადგილზე მუშაობდა 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი და მობილიზებული იყო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების სამსახურის ეკიპაჟები. ამ დროისთვის ხანძარი ლოკალიზებულია, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურში.

ხანძარი, სავარაუდოდ, ანთებული სანთლისგან გაჩნდა. ამის შესახებ გარდაცვლილების მეზობლები საუბრობენ.

– მეორე სართულზე ორი პენსიონერი იყო, მეზობლები და მგონი სინათლე არ ჰქონდათ და სანთლის პირობებში წაეკიდათ ცეცხლი და დაიწვნენ. სასწრაფო და სახანძრო დროულად მოვიდა, თუმცა დაღუპულები იყვნენ ორივე, – განაცხადა გარდაცვლილების მეზობელმა.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

## მარტვილში 40 წლის რ.ჯ. მოკლეს

### დაკავებულია ჯ.ნ.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერში 40 წლამდე მამაკაცი მოკლეს. მკვლელობა ბრალდებულის სახლში, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ მოხდა. მამაკაცმა ოჯახის ახლობელი ცივი იარაღით მოკლა.

სამართალდამცავებმა ბრალდებული უკვე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მარტვილში მომხდარი მკვლელობა გახსნეს – დაკავებულია 1 პირი: 1961 წელს დაბადებული ჯ.ნ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელს – რ.ჯ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.



## ახალქალაქში 23 წლის გაყინული მამაკაცი იპოვეს




ახალქალაქის სოფლების – მაჯადიასა და ოლავერდის მიმდებარედ ტყეში 23 წლის გაყინული მამაკაცი იპოვნეს.

ახალგაზრდა მამაკაცს 6 იანვრის საღამოდან ეძებდნენ. სამძებრო სამუშაოებში ჩართული იყო პოლიციაც.

თანასოფლელების თქმით, ის მაჯადიიდან ტყისკენ ფეხით მიმავალი არაერთხელ უნახავთ, რადგან მისი ახლობლები ტყესთან ახლოს ცხოვრობდნენ.

– ტაძარში მიდიოდა, ან თავის დასთან. იქვე ცხოვრობს, ტყესთან ახლოს. კარგი, უწყინარი ბიჭი იყო, ხელს ვინ მოჰკიდებდა? მთაზე ნახეს მკვდარი. პრობლემები არ ჰქონდა, ეს ტრაგიკული შემთხვევა იყო, – ამბობს გარდაცვლილის მეზობელი რობერტ ოლიკიანი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## ავარია ხულოში

### ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა




ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ტუნაძეებში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა, რომელიც ავტომანქანას თავად მართავდა.

შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაშავდა.

შემთხვევა 7 იანვარს, დღის 3 საათისთვის მოხდა.

ღორჯომის ადმინისტრაციულ ერთეულში ხულოს მერის წარმომადგენლის თემურ ირემაძის თქმით, დაშავებული, რომელსაც სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნებოდა, დაღუპულის ნათესავია, თავად დაღუპული ახალგაზრდა კი, სოფელ ლაბაიძეების მკვიდრი.

მისივე თქმით, მსუბუქი ავტომანქანა ხულო-ღორჯომის მთავარი გზიდან გადავარდა.

გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით.

## ლაშა ჩხარტიშვილის ადვოკატი ივანიშვილის და კალაძის გამოკითხვას მოითხოვს



გუშინ, 8 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ლეიბორისტული პარტიის წევრის, ლაშა ჩხარტიშვილის ადმინისტრაციული წესით დაკავებასთან დაკავშირებით პროცესი გაიმართა.

როგორც ჩხარტიშვილის ადვოკატმა ია სირანაშვილმა სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, ისინი აღნიშნულ საქმეზე ბიძინა ივანიშვილის და კახა კალაძის გამოკითხვას ითხოვენ.

– ჩვენ დრო ვითხოვეთ იმისათვის, რომ შსს-ს წარმოედგინა სამხრე კამერები, რომელზეც აღბეჭდილი იქნებოდა ლაშას მიმართ მაღალჩინოსნის, ვინმე გოგა მემანიშვილის მხრიდან თავდასხმა.

ჩვენი მხრიდან, შუამდგომლობები იქნება დაყენებული რიგი მოწმეების დაკითხვის შესახებ, მათ შორის, ორ მოწმეზე, რომელიც უშუალოდ ფაქტის მომსწრეა. ხოლო, მესამე იქნება კახა კალაძე, რომელთან დაკავშირებითაც აქციის გამართვა იყო დაგეგმილი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ლაშა დღეს პროცესზე იმიტომ არის, რომ ეს აქცია ჩაშლილიყო, – განაცხადა ადვოკატმა სირანაშვილმა.

ამასთან, როგორც სხდომის დაწყებამდე ლაშა ჩხარტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აქციაზე მისი დაკავება პოლიტიკურადაა მოტივირებული.

მისი თქმით, უშუალოდ შსს-ს წარმომადგენელი გოგა მემანიშვილი იყო „მთელი აქციის განმავლობაში დავალების შემსრულებელი“.

ლაშა ჩხარტიშვილმა ჟურნალისტებს შსს-ს წარმომადგენლის გოგა მემანიშვილის ფოტომასალაც წარუდგინა. ამასთან, მან სასამართლოზე მიიტანა ჩანთა, რომელშიც, მისივე თქმით, საჭირო პირადი ნივთები აქვს, რომელიც დაკავების შემთხვევაში ციხეში გამოადგება.

– მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის რეჟიმი ყველას და ყველაფერს იჭერს, ერთ თვეში ჩემთან მიმართებაში პოლიტიკური დაკავება აშკარად ატარებდა კონკრეტული პერსონალური დევნის ხასიათს, რომელსაც კალაძის და ივანიშვილის დავალებით აწარმოებდა გოგა მემანიშვილი.

ის აუცილებლად იქნება განსასჯელის სკამზე. დღეს მნიშვნელობა არ აქვს, დამაპატიმრებენ თუ დამაჯარიმებენ. ისეთი არაადეკვატური ჯარიმების გადახდა, რომელიც საქართველოშია, ჩემთვის და საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუწვდომელია.

მირჩევნია პატიმრობა და საჭირო ნივთებით ვარ მომზადებული მოსული, – განაცხადა ჩხარტიშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის წევრი სამართალდამცველებმა ადმინისტრაციული წესით პარლამენტის წინ, 3 იანვარს დააკავეს.

მას წვრილმან ხულიგნობასა და დაუმორჩილებლობას ედავებიან.

# ირანმა აშშ-ის ბაზებს ერაყში რაკეტები დაუშინა



7 იანვარს ირანმა ერაყში მდებარე 2 ბაზაზე, სადაც კოალიციური ძალები არიან განთავსებული, სარაკეტო თავდასხმა განახორციელა.

ირანმა საკუთარი ტერიტორიიდან ერაყში მდებარე სამხედრო ბაზების მიმართულებით ათამდე ბალისტიკური რაკეტა ისროლა.

ირანის სახელმწიფო ტელევიზიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, „ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსმა" დაადასტურა, რომ მათ რაკეტები ქასემ სოლეიმანის მკვლელობისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით გაისროლეს.

– ზარალის შეფასების მიზნით შესაბამისი მუშაობა ხორციელდება. ყველა საჭირო ზომას მივმართავთ რეგიონში აშშ-ის პერსონალის, პარტნიორებისა და მოკავშირეების დასაცავად, – განაცხადა პენტაგონის პრესსპიკერმა ჯონათან ჰოფმანმა.

მისივე თქმით, შეტევის სამიზნე ერაყში მდებარე 2 ბაზა – ალ-ასადი და ირბილი იყო.

– ირანის მიერ ამერიკული ბაზების წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმა პირველი ნაბიჯი იყო, თეირანი ამერიკულ ჯარს არ დაინდობს, – ეს განცხადება ირანის რევოლუციური გვარდიის ერთ-ერთმა მეთაურმა გააკეთა.

– სარაკეტო თავდასხმები მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. დონალდ ტრამპმა რეგიონიდან საკუთარი ჯარის გაყვანაზე უნდა იფიქროს, – განაცხადა მეთაურმა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ ჯავად ზარიფმა კი თქვა, რომ ირანს არ სურს ესკალაცია და ომი, მაგრამ თავს ნებისმიერი აგრესიისგან დაიცავს.

„ირანმა თავდაცვის ფარგლებში პროპორციული ზომები გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად გაატარა. მისი სამიზნე იყო ბაზა, საიდანაც ჩვენი მოქალაქეების და მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ მხდალი შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. ჩვენ არ ვცდილობთ ესკალაციას ან ომს, მაგრამ დავიცავთ თავს აგრესიისგან" – დაწერა მუჰამედ ჯავად ზარიფმა ტვიტერში.

ასევე ტვიტერში გააკეთა კომენტარი პრეზიდენტმა ტრამპმა.

„ყველაფერი კარგადაა, რაკეტები ირანიდან ერაყში მდებარე ორი სამხედრო ბაზის მიმართულებით გაუშვეს. მიმდინარეობს მსხვერპლისა და ზარალის შეფასება. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა" – დაწერა მან.

– ჩვენ მათ სახეში სილა გავაწანით, – ამ სიტყვებით მიმართა ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ ირანელ მოსახლეობას.

ხამენეიმ სიტყვით გამოსვლისას ირანის მიერ ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების ბაზებზე განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შესახებ ისაუბრა.

მოსახლეობამ მას უპასუხა ფრაზით: „სიკვდილი ამერიკას".

ხამენეიმ დასძინა, რომ როდესაც საქმე კონფრონტაციას ეხება, ამგვარი სამხედრო მოქმედება საკმარისი არ არის.

– მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მავნე ყოფნა აქ უნდა დასრულდეს, – აღნიშნა ირანის ლიდერმა.

# თეირანთან კიევის ბორტი ჩამოვარდა – 180 ადამიანი დაიღუპა

## თვითმფრინავმა ბოლო შემოწმება 6 იანვარს გაიარა

8 იანვარს თეირანთან „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების" კუთვნილი ბოინგ-737-ის ტიპის თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად, ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი, 180-მდე პირი დაიღუპა.




თვითმფრინავმა კატასტროფა ირანის მიერ ამერიკის ერაყის ბაზებზე თავდასხმის შემდეგ განიცადა, რამაც მედიაში სპეკულაციები გამოიწვია, რომ შესაძლოა, ირანმა ხომალდი შეცდომით ჩამოაგდო.

ვიდეოზე, რომელიც ბიბისის ირანის კორესპონდენტმა გამოაქვეყნა, ჩანს, რომ თვითმფრინავს ცეცხლი უკვე ცაში უკიდია, რამაც მოქალაქეებში ეჭვი გამოიწვია, რომ თვითმფრინავს ცეცხლი გაუხსნეს.

თვითმფრინავი, რომელიც ხომეინის აეროპორტიდან აფრენიდან მალევე ჩამოვარდა, კიევში მიფრინავდა.

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ კატასტროფის გამო მწუხარება გამოთქვა.

„საშინელი ამბებია ახლო აღმოსავლეთიდან. დღეს დილით, იმამ ხომეინის საერთაშორისო აეროპორტიდან აფრენის შემდეგ, „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების" თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა და აეროპორტთან ახლოს ჩამოვარდა" – დაწერა პრეზიდენტმა.

ირანში უკრაინის საელჩოს ინფორმაციით, უკრაინული თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი ძრავის გაუმართაობა გახდა.

– უკრაინული სამგზავრო ლაინერის ირანში ჩამოვარდნის მიზეზი ძრავის პრობლემები გახდა და არა ტერორიზმი, – განაცხადეს საელჩოში.

მოგვიანებით უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ირანში უკრაინის საელჩომ ეს ინფორმაცია წაშალეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდზე წაშლილია წინადადება, სადაც ეწერა, რომ „არსებული ინფორმაციით, გამოირიცხება ტერორისტული აქტი და სარაკეტო თავდასხმა". დარედაქტირებული განცხადების თანახმად, უკრაინის საელჩო ირანში ცდილობს, დაადგინოს კატასტროფის გამომწვევი მიზეზები.

საელჩოს თქმით, „კომისიის მიერ მიმდინარეობს კატასტროფის მიზეზების დადგენა. ნებისმიერი განცხადება, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებამდე იქნა გავრცელებული, არ არის დადასტურებული".

„უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების" ცნობით, „ბოინგ 737" გამართულ მდგომარეობაში იყო.

იმის გარდა, რომ „ბოინგ 737" ტექნიკურად გამართული იყო, ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო კომპანიის თვითმფრინავთაგან.

„უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების" ტექნიკურმა დირექტორმა, ალექსანდრ შოფიევმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თვითმფრინავთან დაკავშირებით აქამდე არანაირ შენიშვნას ადგილი არ ჰქონია.

– თვითმფრინავი 2016 წლის იყო და ის მწარმოებლისგან პირდაპირ ავიახაზებს გადაეცა, მანამდე არსად ყოფილა გამოყენებული. შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია. შემოწმება ბოლოს 6 იანვარს გაიარა და არც ამ დროს ყოფილა არანაირი ხარვეზი. თვითმფრინავი ტექნიკურად გამართული იყო. ეკიპაჟისგან არც თეირანში ჩასვლისას ყოფილა რაიმეზე შენიშვნა და არც ამ ფრენის წინ, – განაცხადა შოფიევმა.

კომპანიაში ასევე დასძინეს, რომ ეკიპაჟი შესანიშნავად იყო მომზადებული, მათ შორის რთულ პირობებში ფრენისთვისაც.

ირანმა უარი თქვა, კატასტროფის შემდეგ ნაპოვნი შავი ყუთი ხომალდის მწარმოებელ „ბოინგს" გადასცეს. ამის შესახებ თეირანის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში განაცხადეს.

ჯერჯერობით უცნობია, რომელ ქვეყანაში გააგზავნის ირანი „შავ ყუთს" ექსპერტიზისთვის.

საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ავიაკატასტროფას იძიებს ის ქვეყანა, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, თუმცა გამოძიებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ უკრაინამ, სადაც რეგისტრირებულია ხომალდი და აშშ-მაც, სადაც მისი წარმოება მოხდა.

# ავსტრალიაში ტყის ხანძრის განგებ გაჩენაში 24 ადამიანია ბრალდებული

ავსტრალიაში, კონკრეტულად ახალ სამხრეთ უელსში, ტყის ხანძრის განგებ გაჩენის გამო, სულ მცირე, 24 ადამიანია ბრალდებული.

8 ნოემბრის შემდეგ, ხანძართან დაკავშირებული დანაშაულისთვის ახალი სამხრეთ უელსის პოლიციის თანამშრომლებმა სამართლებრივი დევნა 183 ადამიანის წინააღმდეგ დაიწყეს, აქედან 40 არასრულწლოვანი იყო. ამ ადამიანების წინააღმდეგ განხორციელებული სამართლებრივი დევნა მოიცავდა როგორც გაფრთხილებას, ასევე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

183-დან 53-მა ადამიანმა ცეცხლის აკრძალვასთან დაკავშირებით არსებული კანონის ზედმიწევნით შეუსრულებლობის გამო, გაფრთხილება მიიღო ან მათ წინააღმდეგ დაიწყო სამართლებრივი დევნა, 47 კი ბრალდებულია იმაში, რომ ანთებული სიგარა ან ასანთი დააგდეს მიწაზე.

ავსტრალიაში ხანძრების შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით, სულ მცირე, 24 ადამიანი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ ხანძარმა ავსტრალიის, ფაქტობრივად, ყველა შტატი მოიცვა, ყველაზე მეტად მაინც ახალი სამხრეთ უელსი დაზარალდა.

ტყის ხანძარი ქვეყანაში უკვე 1 თვის განმავლობაში მძვინვარებს, ანადგურებს სახლებსა და ხშირ შემთხვევაში მთელს ქალაქებს.

მოცემული მომენტისთვის 7 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი გადაიწვა, მათი უმეტესობა ტყე და ეროვნული პარკია. შედეგად დაახლოებით ნახევარი მილიარდი ცხოველი დაზარალდა, მილიონობით მათგანი კი ტყის ხანძარს შეეწირა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გამტაცებელმა მანქანის პატრონს მოუბოდიშა და მისი ადგილსამყოფელი მიუთითა



ავსტრალიაში მანქანის გამტაცებელმა მის პატრონს მოუბოდიშა და გაუგზავნა რუქა, რომელზეც ის ადგილი იყო მითითებული, სადაც მისი მანქანა იმყოფებოდა.

2017 წლის გამოშვების თეთრი ფერის ტოიოტას პიკაპი გასული წლის 28 ნოემბერს ქვეყნის ჩრდილოეთი ტერიტორიის პატარა ქალაქ ალის-სპრინგსიდან გაიტაცეს. მისმა პატრონმა გლენ კარაგერმა გასაღები მანქანაში დატოვა, ვინაიდან მალევე აპირებდა ავტომობილში დაბრუნებას და მისი კონდიციონერის გამორთვა არ სურდა. მამაკაცმა მანქანა იმ სახლთან გააჩერა, სადაც შეკვეთილ სამუშაოებს ასრულებდა.

– როდესაც უკან დავბრუნდი, ჩემი ავტომობილი და 30 ათასი ავსტრალიური დოლარის ღირებულების ხელსაწყოები ადგილზე აღარ დამხვდა, – განუცხადა მამაკაცმა ჟურნალისტებს. მან დახმარებისთვის პოლიციას მიმართა, თუმცა სამართალდამცავები ვერაფრით დაეხმარნენ.

– კვირა კვირას მისდევდა, მაგრამ შედეგები არ ჩანდა და თავად დავიწყე ძიება. სახლის პატრონებს სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ჩვენება მოვთხოვე, – აღიარა ავსტრალიელმა. პოლიციელებთან ერთად მან გამტაცებლები ამოიცნო. ისინი აღმოჩნდნენ 24 წლის გრანტ მური და 25 წლის ბრენდონ პეინი. ისინი ქალაქის ციხიდან 14 ნოემბერს გაიქცნენ.

პოლიციელების თქმით, ბოლოს გაქცეულები კვინსლენდის შტატის ქალაქ მაუნტ-აიზაში ნახეს, რომელიც მანქანის გატაცების ადგილიდან 1,1 ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

კარაგერმა ფეისბუქში ვიდეო გამოაქვეყნა და გამტაცებლებს მოპარულის დაბრუნება სთხოვა. ამის შემდეგ მურმა მას წერილი გაუგზავნა, ბოდიში მოუხადა და მიუთითა თუ სად იმყოფებოდა მისი ავტომობილი.

კარაგერი მეგობრებთან და პოლიციელებთან ერთად მთელი კვირა ეძებდა ავტომობილს, თუმცა ვერ პოულობდნენ. მური კი ირწმუნებოდა, რომ მანქანა ადგილზე იმყოფებოდა. საბოლოოდ ავსტრალიელმა მაინც იპოვა ის ადგილი, სადაც მისი მანქანა იყო დატოვებული. მართალია პიკაპში ხელსაწყოები არ აღმოჩნდა, თუმცა ავტომობილის პოვნამ კარაგერი მაინც გაახარა.

დამნაშავეები ჯერაც ძებნაში იმყოფებიან.

# მეხანძრეები ხანძრის ფონზე ფოტოსურათის გამო გააკრიტიკეს



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში მეხანძრეებმა საახალწლო ფოტოსურათი ცეცხლწაკიდებული სახლის ფონზე გადაიღეს. აღნიშნული ფოტოსურათი ფეისბუქში სახანძრო განყოფილების გვერდზე იქნა გამოქვეყნებული, თუმცა შემდეგ ის წაშალეს.

– გუნდმა საახალწლო სელფისთვის მომენტი გამოძებნა! – ეწერა ფოტოსურათის კომენტარში. როგორც ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დააზუსტა, დამწვარ სახლში არავინ ცხოვრობდა, ხოლო მეხანძრეებმა გადაწყვიტეს, მის ფონზე სამახსოვრო ფოტოსურათი იმის გამო გადაეღოთ, რომ ერთ-ერთი მათგანი პენსიაზე გადიოდა.

დეტროიტის სახანძრო სამსახურის კომისარმა ერიკ ჯონმა ამგვარ ფოტოს უადგილო და არაპროფესიონალური უწოდა და ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ინციდენტის გამოძიება მოხდება. სოციალური ქსელის მომხმარებლებმა აღნიშნული ფოტოსურათი მკაცრად გააკრიტიკეს, რის შემდეგაც ის წაშალეს.

# ტაქსის მძღოლს „საახალწლო ტარიფის" გამო ყბები ჩაუმტვრიეს

ბელორუსეთის ქალაქ გროდნოში მგზავრმა ყბა მოტეხა და სამი კბილი ჩაუმტვრია ტაქსის მძღოლს, რომელმაც მას მგზავრობის საფასურის გაორმაგებული „საახალწლო ტარიფით" გადახდა მოსთხოვა.

2 იანვარს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, ღამის კლუბ „კოლიზეისთან" მანქანაში ჩაჯდა ბელორუსეთის მოქალაქე, რომელიც დღესასწაულზე რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგიდან იყო ჩასული. მძღოლმა სახელად დენისმა მას უთხრა, რომ ტაქსმა საახალწლო ტარიფად გაორმაგებული კოეფიციენტი დააწესა. ამან მგზავრი აღაშფოთა, კამათი ჩხუბში გადაიზარდა და მან მძღოლს მუშტი სახეში ჩასცხო. დამნაშავემ გაქცევა სცადა, მაგრამ ის ტაქსების მძღოლებმა დაიჭირეს და სამართალდამცავებს გადასცეს.

მძღოლს ორ ადგილას აქვს ყბა გატეხილი და სამი კბილი ჩამტვრეული. მას საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთდა და რეანიმაციის განყოფილებაში იქნა მოთავსებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# 10 ფეხბურთელი, რომლებიც მეოთხე დეკადაშიც ითამაშებენ

2020 წელი დადგა – ანუ, ახალი დეკადა დაიწყო. საინტერესო იქნება იმ ფეხბურთელების გახსენება, რომელიც მე-4 ათწლეულია (90, 00, 10, 20) ფეხბურთს თამაშობენ.

**ჯანლუიჯი ბუფონი**

იტალიური ფეხბურთის ლეგენდამ საფეხბურთო კარიერა 1995 წელს, პარმას შემადგენლობაში დაიწყო. 41 წლის ახლა იუვენტუსშია. ერთადერთი, რაზეც ჯიჯის გული წყდება, ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგა არ აქვს მოგებული და მისი მთავარი მიზანიც ამ ტიტულის მოგებაა. სამაგიეროდ, ჯიჯის მოგებული აქვს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. ლეგენდარულ იტალიელ მეკარეს ბევრი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მეკარედ მიიჩნევს.

**იკერ კასილიასი**

საუკეთესო მეკარეებზე საუბრისას არასდროს არ უნდა გამოგრჩეს იკერ კასილიასი. ესპანელს მადრიდის რეალის პირველ გუნდში დებიუტი 1999 წელს ჰქონდა. იკერმა „სამეფო გუნდის“ ღირსება 2015 წლამდე დაიცვა და პორტუს მიაშურა. გასული წლის მაისში მას გულის შეტევა ჰქონდა და ვარაუდობდნენ, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულება მოუწევდა, თუმცა ბოლო ინფორმაციით, იგი მოედანზე გასვლას კიდევ შეძლებს.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი**

ზლატანი სერია ა-ს 38 წლის ასაკში დაუბრუნდა. იგი კვლავ მილანის ღირსებას დაიცავს და ეცდება, იტალიურ კლუბს კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმაროს. იბრაჰიმოვიჩმა კარიერა 1999 წელს მშობლიურ მალმიოში დაიწყო. ამის შემდეგ შვედმა რამდენიმე გრანდში ითამაშა და შიდა ჩემპიონატებიც მოიგო, თუმცა ნანატრი ჩემპიონთა ლიგის მოგება ვერც ერთ მათგანში ვერ მოახერხა. იბრას 21-წლიანი საფეხბურთო კარიერა აქვს, რომლის განმავლობაშიც ფეხბურთის გულშემატკივრებს არაერთი ლამაზი მომენტი გვაჩუქა.

თუმცა, საკუთარი ქალაქის გულშემატკივრები ჰყავს განაწყენებული, რომლებმაც სამაგიერო ისე გადაუხადეს, რომ მისი ძეგლი ვანდალურად დაარბიეს.



**კლაუდიო პისარო**

კლაუდიომ საფეხბურთო კარიერა სამშობლოში, პერუში, 1996 წელს დაიწყო. ევროპაში მისი პირველი გუნდი ბრემენის ვერდერი იყო, რომლის ღირსებასაც ახლაც იცავს. 41 წლის ფეხბურთელს გამორჩეული პერიოდი მიუნხენის ბაიერნის თამაშისას ჰქონდა. იგი ბუნდესლიგის განსაკუთრებული ლეგიონერია. კლაუდიომ სანაკრებო კარიერა 2016 წელს დაასრულა, თუმცა საკლუბო დონეზე თამაშს კვლავაც განაგრძობს.

**როკე სანტა კრუსი**

სამხრეთ ამერიკელმა სანტა კრუსმაც კარიერა 1997 წელს, სამშობლოში, პარაგვაიში ოლიმპიაში დაიწყო. ევროპაში მისი პირველი კლუბი მიუნხენის ბაიერნი იყო. შემდეგ მან სხვადასხვა ევროპულ კლუბებში ითამაშა. 2016 წელს როკე სამშობლოში დაბრუნდა და ბავშვობის კლუბ ოლიმპიაში დღემდე თამაშობს. როკე 38 წლისაა.

**გარეთ ბერი**

ბერიმ საფეხბურთო კარიერა 1998 წელს, ასტონ ვილაში დაიწყო და ამ კლუბის ღირსებას 2009 წლის ჩათვლით იცავდა. ინგლისელი ამჟამად ვესტ ბრომიჩ ალბიონშია. 38 წლის ნახევარმცველს ჩემპიონშიპის მიმდინარე სეზონში 3 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**არტურ ბორუცი**

არტურ ბორუცმა საფეხბურთო კარიერა პოლონურ პოგონში, 1998 წელს დაიწყო. 39 წლის მეკარე ამ დროისთვის პრემიერლიგაში თამაშობს და ბორნმუთის ღირსებას იცავს. მან გასულ სეზონში პრემიერლიგის 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მისი გუნდი პრემიერლიგაში წელს ცუდად გამოიყურება და ინგლისის უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

**შუნსუკე ნაკამურა**

ნაკამურამ პროფესიონალური საფეხბურთო კარიერა 1997 წელს, იაპონურ იოკოჰამა მარინოსში დაიწყო. იაპონელმა კარიერის საუკეთესო მონაკვეთი სელტიკში გაატარა და იგი შოტლანდიური კლუბის ერთ-ერთ ლეგენდადაა მიჩნეული. 2019 წელს ნაკამურა იაკოჰამაში გადავიდა და დღემდე ამ კლუბში თამაშობს. ახლა იგი 41 წლისაა.

**მაქსი როდრიგესი**

მაქსი როდრიგესმა კარიერა 1999 წელს, ნიუელს ოლდ ბოისში დაიწყო. ევროპაში 2002 წელს ჩამოვიდა და ესპანიოლის რიგებში ჩაირიცხა. შემდეგ იყო მადრიდის ატლეტიკო და ლივერპული. არგენტინელი 2012 წელს სამშობლოში დაბრუნდა. დღეს იგი 39 წლისაა და ისევ ნიუელს ოლდ ბოისის ღირსებას იცავს. მაქსის არგენტინის სუპერლიგის 2019-20 წლების სეზონში 16 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც თავი 4 გოლითა და 1 საგოლე გადაცემით გამოიჩინა.

**არიც ადურისი**

არიც ადურისს 21-წლიანი საფეხბურთო კარიერა აქვს. მისი დებიუტი 1999 წელს, ესპანურ აურერა დე ვიტორიაში შედგა. 2019-20 წლების სეზონის დასაწყისში შეცვლაზე შესულმა 38 წლის ადურისმა ბარსელონას „მაკრატელა“ გაუტანა და ბილბაოს ატლეტიკს გამარჯვება მოუტანა. ადურისი ბილბაოს ლეგენდად არის მიჩნეული.

# გია ცეცაძე: „მთავარი მიზანი ევროტურნირებზე ჯგუფში მოხვედრაა“



როგორც უკვე ვწერდით, თბილისის საბურთალოს მთავარ მწვრთნელად გია ცეცაძე დაინიშნა. კლუბმა მთავარ მწვრთნელად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ თავკაცთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**გია ცეცაძე:**

– სამწვრთნელო კარიერაში პირველად, საკლუბო დონეზე, საკუთარ სახლში მიწევს მუშაობა, სადაც სრული კომფორტი მაქვს. ბუნებრივია, მაღალი მიზნები გვაქვს და გვსურს, რომ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული სახე, საფეხბურთო კლუბი საბურთალო უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ და ევროპაში ისე გავიტანოთ ჩვენი სახელი, როგორც ქართულ ფეხბურთს ეკადრება.

ჩემი სურვილია, რომ კლუბში ისეთი ლეგიონერები მოვიწვიოთ, რომლებიც ევროტურნირებზე წარმატების მიღწევაში დაგვეხმარებიან. რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დაგვტოვა, პოტენციურ ახალწვეულებთან კი მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მთავარია, რომ საბურთალოში მოსული როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ფეხბურთელი გუნდის სათამაშო სქემაში და კლუბის განვითარების სტრატეგიაში ჩაჯდეს. ლეგიონერს, რომელიც საქართველოში ჩამოვა, შესაბამისი განწყობა უნდა ჰქონდეს, რათა მის თამაშს სათანადო შედეგი მოჰყვეს.

თბილისში, ჩვენი მთავარი პრობლემა ამ ეტაპზე არის გულშემატკივარი. ბუნებრივია, მესის და რონალდუს ვერ ჩამოვიყვანთ, რათა ხალხმა მათ საყურებლად იაროს. თუმცა, მოვუწოდებ საბურთალოელებს, რომ იარონ სტადიონზე და ისეთ ფეხბურთელებს უგულშემატკივრონ, რომლებსაც საკუთარი ქვეყნის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე აქვთ გატანილი და თავი არ შეურცხვენიათ. თამამად ვიტყვი, რომ გულშემატკივრების რაოდენობა პროპორციულია თამაშის ხარისხთან.

რა თქმა უნდა, საქართველოში მიღწეული წარმატება ძალიან სასიხარულოა, მაგრამ მთავარია, რომ შედეგი საერთაშორისო ასპარეზზე გვქონდეს. ჩვენი მთავარი მიზანი ევროპაში ქართული ფეხბურთის სახელის დაბრუნებაა. ახალგაზრდა მოთამაშეებს სანაკრებო დონეზე ეს გარკვეულწილად გამოსდით. პროგრესი ნამდვილად შეინიშნება და ვფიქრობ, რომ საბურთალოში ამ მიზნის მისაღწევად რეალური შანსი მაქვს. ვფიქრობ, რომ დასახული ამოცანის შესასრულებლად კონტრაქტით გათვალისწინებული დრო საკმარისია.

# ბითაძე ისევ ჯ ლიგაში გაუშვეს

ინდიანა პეისერსის ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე კლუბმა სათამაშო პრაქტიკის მიზნით ნბა-ს ჯ ლიგაში გაუშვა და მან ფორტ ვეინთან ერთად მე-2 მატჩი ითამაშა. ვისკონსინ ჰერდთან გამართული მატჩი ფორტ ვეინმა 6 ქულით დათმო – 115:121. ბითაძემ ეს შანსიც გამოიყენა და კვლავ ორმაგი დუბლი გაიფორმა, მაგრამ საკუთარი თამაშით კმაყოფილი მაინც არ უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის ქართველი ცენტრი აღნიშნული ლიგის ბინადარი ფორტ ვეინის მაისურით პირველად გასული წლის 15 დეკემბერს ვიხილეთ. მაშინ ფორტ ვეინმა ერი ბეიჰოუქსს 113:93 მოუგო, ქართველმა კალათბურთელმა კი მოედანზე 36 წუთი გაატარა და 26 ქულა, 14 მოხსნა (3 შეტევაში), 4 პასი, 2 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა.

ამჯერადაც საკმაო დრო დაჰყო გოგამ პარკეტზე – 38 წუთი. მან 14 ქულას, 13 მოხსნას, 4 პასსა და 3 დაფარებას მოუყარა თავი. ქართველმა ცენტრმა 6 ორქულიანი ჩააგდო, 5-დან ვერც ერთი სამქულიანი ვერ გამოიყენა და 3-დან 2 საჯარიმო ზუსტად ესროლა. სწორედ სროლების პროცენტული მაჩვენებლით არ იყო მოსაწონი ჩვენებურის გარჯა.



ინდიანამ დაბალ ლიგაში ალიზ ჯონსონიც გაანათხოვრა, რომელმაც 26 ქულა ჩააგდო.

სავარაუდოა, რომ გოგა ინდიანას მაიამისთან გასამართი მატჩისთვის დაუბრუნდება, რომელსაც უახლოეს ტურში შეხვდება.

# საქართველომ ისტორიული გამარჯვება იზეიმა

საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრების წევრმა ალექსანდრე მეტრეველმა ავსტრალიაში მიმდინარე ატპ თასზე გუნდს ერთეულთა თანრიგში პირველი გამარჯვება მოუტანა. აქამდე მხოლოდ წყვილებში გვქონდა მოგებული იაპონიასთან, რომელიც საბოლოო ჯამში 1:2 წავაგეთ.

სანდრომ წარმატებას ურუგვაელ ფრანკო რონკადელისთან მატჩში მიაღწია, რომელიც ჩვენებურის აშკარა უპირატესობით წარიმართა და ფაქტობრივად, ოფლის დაუღვრელად – 6:2, 6:1 მოიგო. შეხვედრა სულ 52 წუთს გაგრძელდა.

თუ მეტრეველმა ჩვენს გუნდს პირველი ინდივიდუალური გამარჯვება მოუპოვა, ნიკოლოზ ბასილაშვილის ძალისხმევით საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრებმა ატპ თასის გათამაშებაში პირველი და ისტორიული გამარჯვება იზეიმა.

ბასილაშვილმა პაბლო კუევასს ურთულესი მატჩი 6:4, 1:6, 6:4 მოუგო და გუნდი 2:0 დააწინაურა, რაც გამარჯვების ტოლფასი გახდა.

თამაში 2 საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა, ყველაზე დრამატული კი ბოლო გეიმი გამოდგა, რომელიც 14 წუთამდე გაიწელა. ნიკას 5 მატჩპოინტი ჰქონდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა მოგება.



უკვე ცნობილია, რომ ქართველმა ჩოგბურთელებმა, რომელთაც ახლად დაარსებულ ატპ თასზე პირველად ითამაშეს, ბ ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავეს, ესპანეთისა და იაპონიის ნაკრებების შემდეგ.

საქართველოს ნაკრებმა ესპანეთთან (0:3) და იაპონიასთან (1:2) წააგო, ურუგვაის კი მოუგო და ჯგუფში ბოლო ადგილზე დატოვა.

# დღეს ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები იწყება

საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ლოზანაში ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრა.

დღეიდან, 22 იანვარის ჩათვლით, ლოზანა ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს, სადაც 79 ქვეყნის 1.792 სპორტსმენი იასპარეზებს.

საქართველოდან 4 სახეობაში (სამთო თხილამურობა, ტრამპლინიდან ხტომა, ფიგურული ციგურაობა, ციგაობა) 10 სპორტსმენი გამოვა.

ლუკა ბერულავა და ალინა ბუტაევა ფიგურული ციგურაობის წყვილებში იასპარეზებენ, ხოლო იულია ლებედევა-ბითაძე და მიხეილ კაიგოროდცევი სპორტულ ცეკვებში შეადგენენ დუეტს. ინდივიდუალურად იასპარეზებს ალინა ურუშაძე.

სამთო თხილამურობაში გამოვლენ ნოდარ კოზანაშვილი და ნინო კურტანიძე, ხოლო ესმირალდა გობოზოვა ტრამპლინიდან ხტომაში მოსინჯავს ძალებს.

ეს 8 სპორტსმენი ლოზანის ოლიმპიურ სოფელში დაბანაკდება, ხოლო ციგაობა სენტ-მორიცში გაიმართება და იქაურ ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებენ ლუკა და ლაშა მჭედლიანები.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. გეომეტრიული ფიგურა; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 9. ბრიტანული ფარამცევტული ფირმა; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. ისტორიული ციხესიმაგრე მესხეთში; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. პორტატული მფრინავი აპარატი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სიცოცხლის და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. სამხედრო ნაწილის სატუსაღო; 13. ჩვილი ბავშვის საფენი; 16. საჭადრაკო ამოცანა; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# სამგლოვიარო განცხადებები



დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ჩვენს ძმასა და მეგობარს რამაზ აფხაიძეს მეუღლის, უსათნოესი და უკეთილშობილესი ადამიანის

**ირინა სარალიძის**

მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

*რომულ ჯიქია, ნინელი კუხალაშვილი შვილებითა და შვილიშვილებით*

შპს კორპორაცია „კოლხას“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა მაღალაშვილს მეუღლის

**პაატა დოყვაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყოჩები; 2. ბორანი; 3. სატელიტი; 4. ანგოლა; 6. დაბახანა; 8. ეგეოსი; 11. ქობულაძე; 12. კონუნგი; 16. პარმა; 17. დინგო; 18. პუდრი.

**თარაზულად:** 1. ყაზბეგი; 5. განდი; 7. კანკანი; 9. ემბარგო; 10. ფორტუნა; 13. სექტორი; 14. დოფინი; 15. გოია; 19. ლუმბაგო; 20. დინდგელი; 21. ბანდეროლი; 22. ბემოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარცინო; 2. ეთიკა; 3. მალთაყვა; 4. ხირხატი; 5. შერმადინი; 9. ჩაქურა; 12. ხერსონი; 14. სუდოკუ; 15. ნუგა; 17. სტუკო; 18. ბრნო.

**თარაზულად:** 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. აცტეკა; 10. გარდა; 11. ნოქალაქევი; 13. ესპანური; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. ბურატინო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.8734 |
| ევრო | — 3.1972 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.7693 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6264 |

## ამინდის პროგნოზი 9 იანვრისთვის






## თემურ ყვითელაშვილი დააჯილდოვეს

ვირტუოზი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი დააჯილდოვეს.

ჯილდო მუსიკოსს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გადასცა.

თემურ ყვითელაშვილი საპატიო სიგელით ქართულ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა.

## ინდირა ჯგერნაიამ ახალი სიმღერა ჩაწერა



მომღერალმა ინდირა ჯგერნაიამ ახალი სიმღერა ჩაწერა და მსმენელს დაპირებული საჩუქარი მიართვა.

საავტორო სიმღერა მომღერალმა სტუდია „ორფეისში“ ჩაწერა, ვიდეორგოლი კი რესტორან „პალადიუმში“ გადაიღო.

კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მსმენელის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.



## არიადნა შენგელაიას ვარსკვლავს გაუხსნიან

მსახიობ არიადნა შენგელაიას ვარსკვლავს გაუხსნიან.

კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ არიადნა შენგელაიას ვარსკვლავი 13 იანვარს გაიხსნება. ღონისძიება საქართველოს სახალხო არტისტის დაბადების დღეზე გაიმართება. არიადნა შენგელაიას შემოქმედებით საღამოს გრიბოედოვის თეატრი უმასპინძლებს, „ვარსკვლავი“ კი კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ გაიხსნება.

არიადნა შენგელაია წლებია თბილისში ცხოვრობს, თუმცა უარს ამბობს საჯარო ცხოვრებაზე და 2007 წლიდან მოყოლებული მაყურებლის წინაშე არ გამოჩენილა. 13-წლიანი პაუზის შემდეგ კი მსახიობი მისი „ვარსკვლავის“ გახსნას დაესწრება. აუდიტორიას შესაძლებლობა ექნება ნახოს ფილმების ნაწყვეტები და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ვიდეო, რომელიც არიადნა შენგელაიას შემოქმედებას ეძღვნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სინდი კროუფორდის ქალიშვილი რეკლამაში ბიუსჰალტერის გარეშე გამოჩნდა



სინდი კროუფორდის ქალიშვილმა, ამერიკელმა მოდელმა კაია გერბერმა ჩასაცმელების ესპანური ბრენდის Loewe-ს რეკლამის გადაღებაში ბიუსჰალტერის გარეშე მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათები გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ერთ-ერთ ფოტოზე 18 წლის მოდელი რძისფერ გრძელ კაბაშია გამოწყობილი, რომლის ნაწილობრივ გამჭვირვალე ქსოვილის ქვეშ გოგონას მკერდი ჩანს. აღსანიშნავია, რომ გადაღებები მიმდინარეობდა „მშვიდობის ბაღის“ ტერიტორიაზე, რომელიც არქიტექტორ ისამუ ნოგუჩის მიერაა დაპროექტებული. გერბერმა სხვა ფოტოსურათებიც გამოაქვეყნა, რომლებშიც ესპანური ბრენდის სხვადასხვა ჩასაცმელებშია გამოწყობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 9 იანვრისთვის



**ვერძი** — პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** — აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** — ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით — საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** — კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** — მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** — მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** — დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** — დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** — ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** — თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ახალი წლის ზეიმზე თოვლის პაპა ბავშვებს საჩუქრებს ურიგებს და მორიგ ბავშვს ეკითხება:

— გასულ წელს კარგი ბავშვი იყავი?

— რას ნიშნავს „ვიყავი“?!...

●●●

სკოლის მოსწავლეს ეკითხებიან:

— რითი განსხვავდება მოსწავლე პატიმრისგან?

— პატიმარი შეიძლება ვადაზე ადრე გაათავისუფლონ.

●●●

ინგლისელი ლორდი სახლში დაბრუნდა. მსახურმა კარი გაუღო და ეუბნება:

— აბა, ბებერო ყრუჩუნა, ისევ დალიე და ქალებში დაეთრეოდი?

— არა, ჯონ, მაღაზიაში ვიყავი და შენდა სამწუხაროდ, მოსასმენი აპარატი ვიყიდე...

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

— მე ვერასოდეს მიგებ.

— აბა, როგორ უნდა გაგიგო, თუ რამდენიმე წუთის წინ პინცეტით მთელი წარბები დაიპუტე, ახლა კი სარკის წინ დგახარ და ახალს იხატავ?!

●●●

პატარა და-ძმა ეზოში თოვლის კაცს აკეთებს. ძმა დას ეუბნება:

— აი, უკვე თითქმის მზადაა, სახლში შევირბენ და სტაფილოს წამოვიღებ.

— ორი ცალი წამოიღე, ცხვირიც გავუკეთოთ.

●●●

აეროპორტის საბაჟოზე ლოდინით გატანჯულ მგზავრს მებაჟე მხიარული გამომეტყველებით ეკითხება:

— აბა, იარაღი, ნარკოტიკები გააქვთ?

— რომ მქონოდა, კარგა ხნის გამოყენებული მექნებოდა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩვენი გოგონები პირდაპირ შამპანურს მაგონებენ.

— ეგ როგორ?

— 20 წლის ნახევრად ტკბილები იყვნენ, 40 წლის შემდეგ კი ნახევრად მშრალები გახდნენ.

●●●

3 იანვრის დილას კარზე ზარის ხმაა. სახლის პატრონი აღებს და მის წინ მდგომი მამაკაცი ეკითხება:

— უკაცრავად, მაპატიეთ შეწუხებისთვის და თქვენ ღმერთი გწამთ?

— დიახ.

— მაშინ, ღვთის გულისათვის, 50 გრამი დამისხით...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სადიო მანე აფრიკის წლის ფეხბურთელი გახდა



ლივერპულის ფორვარდი სადიო მანე აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მას ჯილდო შარშანდელმა გამარჯვებულმა მოჰამედ სალაჰმა გადასცა.

მეორე ადგილზე მანჩესტერ სიტის შემტევი ნახევარმცველი რიად მარეზი გავიდა.

მანემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მას გვერდში ედგა და თქვა, რომ ის ამ ჯილდოთი ამაყობს.

მანემ არც თანაგუნდელები დაივიწყა და თქვა, რომ მათ გარეშე ის ვერასოდეს მიიღებდა ამ ჯილდოს.

წლევანდელ სეზონში მანე ჯერჯერობით ლივერპულის საუკეთესო ბომბარდირია.



## სოლსკიაერმა თავისი ფეხბურთელები გააკრიტიკა

მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისის თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე მანჩესტერ სიტისთან 1:3 დამარცხდა და ფინალში გასვლის შანსები თითქმის აღარ აქვს.

სოლსკიაერმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს ყველაზე ცუდი თამაში იყო მას შემდეგ, რაც ის ამ გუნდს სათავეში ჩაუდგა:

— პირველი ტაიმი უბრალოდ საშინლად ჩავატარეთ. პრესინგი არ გამოგვდიოდა და ამის გამო მეტოქე, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მეორე ტაიმში შედარებით უკეთ ავთამაშდით, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

## ნეიმარი: „მიხარია, რომ 2019 წელი დამთავრდა“



პსჟ-ს ფორვარდმა ნეიმარმა გასულ 2019 წელზე ისაუბრა და თქვა, რომ მას უხარია ამ წლის დასრულება, რადგან ამ წელიწადში მას ბევრი უსიამოვნება ჰქონდა.

ნეიმარი იმედოვნებს, რომ 2020 უფრო ხალისიანი იქნება:

— უნდა ვაღიარო, რომ 2019 წელს უსიამოვნებები მქონდა, რაც ძირითადად ტრავმებით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, იყო ცრუ ბრალდებები და გუნდში პრობლემები, ამიტომ მინდა, რომ ეს ყველაფერი უკან მოვიტოვო და შემდეგი წელი უფრო ხალისიანად გავატარო. პსჟ-ს წელს დიდი ამბიციები აქვს და ვალდებულები ვართ, გულშემატკივარი გავახაროთ.



## კრიშტიანო რონალდუ: „ასაკი არ მაწუხებს“

იუვენტუსის ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ ასაკი არ აწუხებს და ის თავს ისევ ძალიან კარგად გრძნობს ვარჯიშებზე.

რონალდუს აზრით, ის კიდევ დიდი ხნის მანძილზე შეძლებს ფეხბურთის თამაშს:

— ვიცი, რომ მალე 35 წლის გავხდები, მაგრამ, დამერწმუნეთ, ასაკი ჩემზე არ მოქმედებს. ვარჯიშებზე ისეთ შედეგს ვაჩვენებ, რომლითაც 10 წლის წინაც ვიამაყებდი. ვფიქრობ, თუ ასეთ ფორმა შევინარჩუნე, კიდევ დიდხანს შევძლებ ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაშს.

## ოლივერ კანი ბაიერნის სპორტული დირექტორი გახდება



ოლივერ კანი ბაიერნში ოფიციალურად დაბრუნდა, თუმცა თანამდებობას ის მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაიკავებს.

კანი ბაიერნის სპორტული დირექტორი გახდება და მასთან უკვე გაფორმებულია წინასწარი კონტრაქტი.

არ არის გამორიცხული, რომ ბაიერნის ყოფილი მეკარე მომავალში ამ გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც გახდეს.

ოლივერ კანი ბაიერნის ღირსებას 14 წლის მანძილზე იცავდა და ის გუნდის ისტორიაში საუკეთესო მეკარედ ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



## ჯიჯი ჰადიდი ახალი წლის კალენდრისთვის გაშიშვლდა

ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა 2020 წლის ლიმიტირებული კალენდრისთვის, რომელიც მოდის ჟურნალმა V Magazine-მ გამოუშვა, გაიხადა. იანვრის ნომრის გარეკანზე განთავსებული ფოტოსურათი ინსტაგრამში გამოცემისა და მოდელის გვერდებზე გამოქვეყნდა.

პირველ შავ-თეთრ ფოტოზე 24 წლის ჰადიდი წელს ზევით შიშველი კამერისკენ ზურგით შარვლის უკანა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დგას. მას ამერიკული მოდური ბრენდის Guess-ს მუქი ფერის ჯინსები აცვია და თავზე ტყავის ქუდი ახურავს.

მეორე ფოტოზე კი მოდელი წელზევით შიშველი კამერისკენ სახით პოზირებს და მკერდზე ხელები აქვს აფარებული, ხოლო მარცხენა მხარზე რიცხვი 2020 აწერია. აღნიშნული ფოტოსურათების ავტორი ფოტომხატვარი ზოი გროსმანია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. ეპიდემია, რომელიც ვრცელდება მოსახლეობის დიდ ნაწილზე მთელ ქვეყანაში; 4. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 6. ქართული ლუდი; 8. შანშიაშვილის დრამატული პიესა; 11. მოკლელულიანი თოფი; 12. ქუჩების ძველებური სახელწოდება საქართველოში; 16. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი; 17. მკვრივი, დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. საავტომობილო ძრავის მოძრავი ცილინდრული ნაწილი.

**თარაზულად:** 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 10. ქართული ძილისპირული; 13. შემოწმება მოქმედების სისწორისა და კანონზომიერების დადგენის მიზნით; 14. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 15. ურითმო იაპონური ლექსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. აფრიკული ცხოველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

